პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 32 (85), კვირა, 30 სექტემბერი, 1945 წ. ფასი 1 მანეთი.

## დღეს ნომერშია

— საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმება გაზეთ „პრავდის" რედაქციას.
— ბრძანებულება სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „პრავდის" ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
— ახალგაზრდა ხელოვანთა აღზრდისათვის (მოწინავე).
— **გიორგი შატბერაშვილი** — სტალინი; მამა-პაპათა საფლავზე (ლექსები).
— **ვანო წულუკიძე** — უკვდავი რუსი მხედართმთავარი.
— **ბესარიონ ჟღენტი** — პოეზიის იდეური აქტუალობისათვის.
— **კლავდია დევდარიანი** — დედოფალი (მოთხრობა).
— **კორნელი კეკელიძე** — საიათ-ნოვა.
— **ვალერი ბრიუსოვი** — საიათ-ნოვას პოეზია.
— **საიათ-ნოვა** — ერთი რამ მთქვს [illegible] (ლექსი).
— **სურენ ავჩიანი** — დიდი [illegible]
— რა დაწერილა საიათ-ნოვაზე (ბიბლიოგრაფიული ცნობები).
— **ერ. ასტვაცატუროვი** — ერეკლეს კარის თეატრი.
— **ი. გრიშაშვილი** — დიმიტრი ერისთავი.
— საიათ-ნოვას საიუბილეო დღეები.
— რუსული კლასიკური დრამატურგიის სპექტაკლების დათვალიერება.

## გაზეთ „პრავდის" რედაქციას

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიესალმება და ულოცავს ლენინური პარტიის მებრძოლ ორგანოს „პრავდას" მისი [illegible] გამოსვლას.

სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, 1912 წლიდან, „პრავდა" [illegible]

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი [illegible]

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

## ბრძანებულება

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „პრავდის" ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

[illegible] ში წარმატებით მუშაობისათვის და სოციალისტური [illegible] ლობისა და საბჭოთა სამშობლოს დაცვის დარგში საბჭოთა ხალხის მობილიზაციის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნას გაზეთი „პრავდა" ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი.
1945 წლის 23 სექტემბერი.

## ახალგაზრდა ხელოვანთა აღზრდისათვის

ვერაგი მტრის განადგურების, აღმოსავლეთსა და დასავლეთში ომის კერების მოსპობის შემდეგ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო მშვიდობიანი განვითარების პერიოდში შევიდა. გამარჯვებულმა საბჭოთა ხალხმა ახალი ძალით განაგრძო გრანდიოზული შემოქმედებითი მუშაობა. ხელოვნების ყველა დარგში უფრო გაძლიერდა მუშაობა დიდი, განზოგადოებული სახეებისა და ტიპების შესაქმნელად, რასაც ჩვენი სულიერი კულტურის განვითარების ახალი ეტაპი უნდა მოჰყვეს.

ეს დიდი შემოქმედებითი გაქანება მოითხოვს მაღალ დონეზე დაყენებით ხელოვნების ახალი კადრების აღზრდა. ომიანობის მძიმე წლებში საბჭოთა ხალხს ოდნავადაც არ შეუნელებია კულტურული მშენებლობა; პირიქით, საერთო განათლების აღმავლობასთან ერთად გაძლიერდა მხატვრული ინტელიგენციის აღზრდის საქმეც. ომის წლებში შეიქმნა მთელი რიგი უმაღლესი და საშუალო სამხატვრო სასწავლებლები, რომლებმაც მშვიდობიან პერიოდში ათობით და ასობით ახალი ნიჭიერი კადრები უნდა აღუზარდონ სოციალისტურ ხელოვნებას.

ომის დამთავრებამ და ჩვენი ქვეყნის შესვლამ მშვიდობიანი განვითარების პერიოდში კიდევ უფრო გააძლიერა ნიჭიერი ახალგაზრდების მიდრეკილება მხატვრული შემოქმედებისადმი, მათი მისწრაფება მხატვრულად ასახონ საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრება, მისი გმირული ბრძოლისა და გამარჯვების რომანტიკა. მიმდინარე სასწავლო წელს ათასობით ახალგაზრდა ქალი და ვაჟი შევიდა თეატრალურ, მუსიკალურ, სამხატვრო, კინემატოგრაფიულ, არქიტექტურულ და სხვ. სასწავლებლებში. კერძოდ რუსთაველის სახელობის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის, კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიის, თეატრალური სტუდიების და სხვ. სამხატვრო სასწავლებლების შევსებამ მიმდინარე წელს გვიჩვენა ქართველი ახალგაზრდობის გაზრდილი ინტერესი მხატვრული შემოქმედებისადმი. ამჟამად დამთავრებულია თითქმის ყველა ტიპის სამხატვრო სასწავლებლის დაკომპლექტება და დაწყებულია ნორმალური მეცადინეობა, რასაც წინ ენერგიული მოსამზადებელი მუშაობა უძღოდა.

მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების ხელმძღვანელებსა და პედაგოგიურ პერსონალს მთავარი გასაკეთებელი მომავალში — მიმდინარე სასწავლო წელს აქვთ. სასწავლებლებისა და მოსწავლეების რიცხობრივ ზრდას უნდა მოჰყვეს სწავლების ხარისხობრივი ზრდა. სტუდენტებისა და მოსწავლეების სწავლება უნდა მოეწყოს იმ მოთხოვნილებათა შესაბამისად, რომელსაც გვიყენებს მშვიდობიანობის დროის ხელოვნების დიადი აღმავლობის ამოცანები.

მოსწავლეთა ნაყოფიერი მეცადინეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო გეგმების ხარისხს, მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას და მეთოდდახმარების კარგ ორგანიზაციას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პრაქტიკულ მეცადინეობას და სპეციალური საგნების სწავლების დონეს. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ ზოგჯერ თვით მასწავლებლები არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო ლიტერატურითა და დიდაქტიკური მასალით. ეს გარემოება მოითხოვს თავიდანვე სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ბიბლიოთეკების, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების შევსება-მოწყობას, მოსწავლისათვის მეცადინეობის სრული ნორმალური პირობების შექმნას და შემდეგ მკაცრ მოთხოვნას.

უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლების ხარისხი დამოკიდებულია საკლასო მუშაობის ნაყოფიერებაზე. სასწავლო ნაწილის გამგე სასწავლო გეგმის მიხედვით წინასწარ უნდა ამოწმებდეს კლასისა და მასწავლებლის მზადყოფნას, იღებდეს ზომებს და ეხმარებოდეს მასწავლებელს, რათა ამ უკანასკნელს არაფერი არ აბრკოლებდეს მეცადინეობის ნორმალურად ჩატარებისათვის.

ყველაზე მთავარი, რაზედაც ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ყველა საგნის მასწავლებელი თავისი პრაქტიკული მუშაობის დროს, არის ხელოვნების მომავალი შემოქმედებითი მუშაკების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა. მომავალი საბჭოთა ხელოვანის შემოქმედებითი წარმატებები საგრძნობლად იქნება დამოკიდებული მის პოლიტიკურ განათლებაზე და საერთო მსოფლმხედველობაზე. შეუძლებელია საბჭოთა მხატვარმა, მუსიკოსმა, რეჟისორმა, მსახიობმა და სხვ. მიაღწიოს თვალსაჩინო წარმატებას, თუ იგი შეიარაღებული არ იქნება ყველაზე მოწინავე მეცნიერებით — მარქსიზმ-ლენინიზმით და არ იდგომება დღევანდელი და ხვალინდელი დღის მოთხოვნათა სიმაღლეზე.

„მთელ სასწავლო პროცესებთან განუყრელად არის დაკავშირებული სტუდენტების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა. ზოგიერთ სასწავლებლებში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სწავლება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. მარქსისტულ-ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანეს დებულებებს ასწავლიან მშრალად და არა საინტერესოდ, მათ არ ასაბუთებენ უშუალოდ ცხოვრებიდან აღებული მაგალითებით. ხშირია სწავლებაში ფორმალიზმი... სოციალურ-ეკონომიურ მეცნიერებათა ჯერ კიდევ ყველა მასწავლებელი როდი მუშაობს სისტემატურად თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის" („პრავდა").

სამხატვრო სასწავლებლებში, ისე, როგორც საერთოდ ყველა უმაღლეს და საშუალო სასწავლებელში, მიმდინარე სასწავლო წელს გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სწავლება.

თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტმა, კონსერვატორიამ, სამხატვრო აკადემიამ და სხვ. სამხატვრო სასწავლებლებმა უნდა აღზარდონ მხატვრული შემოქმედების კვალიფიციური ოსტატები, თავიანთი სპეციალობის ღრმად მცოდნე ადამიანები, რომლებსაც ექნებათ ფართო პოლიტიკური განათლება და მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძვლიანი ცოდნა.

### გიორგი შატბერაშვილი

## სტალინი

ასე ზრდის თურმე მართვებს არწივი:
აწრთობს, ჩაუდგამს გამჭრიახ ენას,
ჯერ შეასწავლის ვაჟკაცურ ყივილს,
შემდეგ ლაჟვარდში შეაჩვევს ფრენას.
გაანავარდებს, და რომ სივრცენი
გადაატაროს შვილს თავგანწირვით,—
კლდეზე ზის, უმზერს ლაჟვარდის ბრძენი
როგორ იზრდება მის წინ არწივი.
მზეს რიყრაჟები ასე უზრდია,
უდიდებიათ მდინარე ხევებს,
ასევე ზრდიან საუკუნიდან
საუკუნემდე გმირთა სახელებს.
ასე უზრდიათ ჩვენი არსენა,
არაგვის, ქსნის და ალგეთის ქოხებს.
ხალხის წუხილმა არ მოასვენა
იგი, მართალი და მეამბოხე...
ასე უზრდია ხალხს რუსთაველი,
თვალშეუდგამი მთიდან მყვირალი,
ღმერთთან მებრძოლი რკინის მკლავებით
ასე იზარდა თვით ამირანი.
ასე იზარდა ყველა მართალი,
ამღერებული ხალხის დიდებით, —
ყველა მხედარი, ყველა სარდალი,
ბრძოლის ყიჟინით და შეჭიდებით!
და რომ ხეობებს არაგვის, მტკვარის,
მოვლინებოდა დილის ზარივით,
ხალხმა არწია გმირის აკვანი,
ასე იზარდა დიდი სტალინი...
ის გაიზარდა ვოლგის და დნეპრის
ამოოხვრაში და ამოთქმაში,
ხალხის რჩეული და სანატრელი —
მეამბოხეთა დიად მოდგმაში.
სად არ ყოფილა, რაღა არ ნახა,
გაჰკვეთა ქარი ცეცხლის თვალებით,
შესძრა კატორღა და გადალახა
ცივი ციმბირის გზა მხურვალებით.
როგორც არწივი, ფრთების დარწევით,
მთებიდან მთებზე იპყრობდა მაღლობს.
როგორც არწივი მიჰქროდა ზევით,
ხალხთან კი იყო მარადის ახლოს!
ვით ამირანი—მპყრობელი ელვის,
აჯანყდა, ხალხებს რომ გაეხარათ,
კავკასზე დადგა მისი ნათელი,
რომ ბრძოლით ეხსნა მთელი ქვეყანა.
იხსნა, ადიდა ხალხის სახელი,
მოსპო ურვანი, გზა მისცა მხედარს,
მის გამარჯვებას, სიცოცხლეს მღერის
რუსის, თურქმენის და ქართვლის დედა!
გასჭრა, გაპო გზა უდაბნოში,
დაუმორჩილა დარებს ავდარი,
დგას შეფიცულთა უძლეველ დროშის
დიდი სარდალი და ალამდარი!
და რეკს... ოჰ, ქება მის ხმას და ძახილს,
იგი თვით ლაჩარს აქცევს რაინდად,
მის გამარჯვებას, სიცოცხლეს მღერის
რუსეთი, ქართლი და უკრაინა.
მის ხმას დუდუნებს ზანგი, არაბი,
ულეველ გზათა და ზღვათა მხარე,
შორს ბედუინის მწირი კარავიც
მის ხმას მოისმენს და გაიხარებს.

* * *

ჩვენ მისი მეხის ვართ ნაპერწკლები,
წინ რომ დგას პირველ ჯარისკაცივით,
ვართ გაზაფხულის ლაღი მერცხლები,
და შევარდნები ბრძენი არწივის!
ჩვენ ვქმნით, ვუმღერით მარად სახსოვარ
სინათლის ელვას, ბნელის რიდებას,
ჩვენ სიჭაბუკეს, ახალგაზრდობას
შევწირავთ მისი დროშის დიდებას!

## მამა-პაპათა საფლავზე

„გამარჯვებული მოვდივარ...
პაპებს ჩავსძახეთ".

**ფრონტელი ძმის წერილიდან**

პაპებს ვახარეთ... ყიჟინით სასაფლაოზე გავედით.
ჩავძახეთ, ავახმიანეთ დადუმებული შავეთი.
გაიგეთ, ბერიკაცებო, მამულს სწვევია დიდება,
ვაშად მოვედით, ბებერ ძვლებს ელდის არ შეეშინდებათ!

წამოიხედეთ, ვინ არის, ეს ვისი ლანდი დაგხარით?!
დაიჩოქეთ და მოხადეთ მამაპაპური თალარი,
ვაჟკაცი დაბრუნებულა, თქვენი ფესვების ნაყარი,
ბრძოლებში გამარჯვებული და თქვენით ნაამაყარი.

თქვენ რომ წახვედით, მას შემდეგ დაირწა მისი აკვანი,
მან არც სიცოცხლე იცოდა და არც სიკვდილის ანბანი,
თქვენი ჰანგები მოირგო, შინ ჯდომას ბრძოლა არჩია,
ის ერთი დიდი ქართველის სინათლემ გადაარჩინა!

აჰა, ნაკურთხი მტევნები თქვენს ნაფუძარში ნახარი,
თქვენი ნაქონი წაფურა, ანკარა წინწანაქარი,
ადექით, წამოიხედეთ მნატვრელნო ჩვენი დანახვის,
მოწყურებულნი იქნებით, დაილოცეთ და დანაყრდით.

თქვენთვის დავაწყვეთ ტაბლაზე, ძველს ვაზიანში ნამცვრევი,
ვაჰ, თუ შეგერხათ ბერებო, გულმკერდზე ჩოხის მასრები!
ტაბლის გარშემო ოცნებით — ჩვენს გვერდით ხომ არ დალაგდით.
მზის სხივით ხომ არ გაშუქდა წინაპართ ძვალშასალაგი.

როს ჟამი დარეკს, ბერებო, თქვენს გვერდით თქვენი მსგავსები
თქვენსავით ბაგემდუმრები, გულხელდაკრებით დავწვებით...
ეხლა კი, წამოიხედეთ, მამულს სწვევია დიდება,
ვაშად მოვედით, ბებერ ძვლებს ელდის არ შეეშინდებათ!

## ჯონ პრისტლი მოსკოვში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ამ დღეებში მოსკოვს ესტუმრა ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯონ პრისტლი.

ომის წლების განმავლობაში ჯონ პრისტლის ლიტერატურულ-საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ იგი ინგლისელ მწერალთა პირველ რიგებში მოაქცია. მან დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა ინგლისელი ხალხის ფართო წრეებში

პრისტლი თავისი ნაყოფიერებით სამწერლო მოღვაწეობის სრულიად განსაკუთრებულ მაგალითს წარმოადგენს. ის სწერს რომანებს, პიესებს, პუბლიცისტურ წიგნებს, კინოსცენარებს, სტატიებს.

უკანასკნელი მისი ნაწარმოებნი მკითხველის წინაშე ულრმესი მნიშვნელობის პრობლემებს აყენებენ. და დღეს ინგლისში ვერ ნახავთ მწერალს, რომელიც თავისი აუდიტორიის ყურადღებას უფრო სრულად და უფრო მეტის ხელოვნებით მიაპყრობდეს განვლილი ომის დროის ყველაზე უფრო აქტუალურ საკითხებისადმი, ვიდრე ჯონ პრისტლი. მისი რომანი „დაბნელება გრეტლში", რომელიც ომის დროს გამოქვეყნდა, მიმართული იყო ინგლისში ჰიტლერული მეხუთე კოლონის წინააღმდეგ. პიესა „ისინი ქალაქს მიადგნენ" არსებითად წარმოადგენს პოეტურ ოცნებას მშვენიერ ქალაქზე, რომელიც აღმართულია მიწაზე, ადამიანებს უკვე, რომ გადაუქცევიათ „თავიანთ სახლად და ბაღად".

პრისტლის ახალი რომანი „დღის სინათლე შაბათს" არის წიგნი ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი საავიაციო ქარხნის ადამიანთა შესახებ. რომანში თითქმის სრულიად არ არის საწარმოო პროცესების, ყოველგვარი ტექნიკური დეტალების აწერილობა. და ეს ავტორის სავსებით შეგნებული ხერხია. ამის გამო მოკლე წინასიტყვაობაში თვითონ სწერს: „ვფიქრობდი, თუ რომანის ფონს ამგვარი დეტალებით არ დავტვირთავდი, ამ ფონზე უკეთ გამოჩნდებოდა ადამიანი მრეწველობაში, და არსებითად სწორედ ეს არის მწერლის მთავარი ამოცანა".

რომანში დიდძალი პერსონაჟია გამოყვანილი. მკითხველის წინაშე წარმოსდგება მთელი გალერეა სულ სხვადასხვა ადამიანებისა. ყველა ამ ადამიანზე პრისტლი მოგვითხრობს თოლად, თავისუფლად, საინტერესოდ. მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, თითქოს რომანი ამოცანად ისახავდეს ინგლისის სამხედრო მრეწველობის ადამიანთა მხოლოდ პორტრეტულ აღწერას. პრისტლის, როგორც ყველა სხვა ნაწარმოები, ისე რომანი „დღის სინათლე შაბათს" დიდი იდეური განზოგადოების მატარებელია.

რომანში „დაბნელება გრეტლში" პრისტლმა გამოაშკარავა ნამდვილი სახე რეაქციონერი პოლკოვნიკის, ტერლინგტონისა, რომელიც, პატრიოტიზმის ნიღაბს ამოფარებული, ჯაშუშურ, პროფაშისტურ მუშაობას ეწეოდა. ახალ რომანში პრისტლი იგივე თემას იღებს, ოღონდ ამჯერად მწერალი იმავე ტიპის ადამიანთა სხვა ნაირსახეობას ეხება.

მეორეს მხრივ, რომანში ნათლად ასახულია ინგლისის ხალხის წარმომადგენელთა ცხოვრება.

„პრისტლიმ — როგორც სამართლიანად შენიშნავდა ერთ-ერთი ინგლისელი კრიტიკოსი — ეს რომანი თავის დროზე დაწერა და შესძლო ჰიტლერიზმზე გამარჯვების უშუალო მთავარი ამოცანა მჭიდროდ დაეკავშირებინა იმ ჩვეულებრივი, მძიმედ მომუშავე ადამიანთა კერძო საზრუნავთან, სუსტ მხარეებთან და სურვილებთან, რომლებზედაც დამოკიდებულია ეს გამარჯვება და რომელთათვისაც იგი ბოროტებაზე სიკეთის ზეიმად. ნაყოფის გამომღებ, შესაგრძნობ ზეიმად უნდა გადაიქცეს".

რომანში გვხვდებიან მუშების ცოცხალი პორტრეტები, რომელთათვისაც ჰიტლერიზმზე გამარჯვება მათი ცხოვრების მთავარი მიზანი იყო. მაგალითად, ძველი ოსტატი ალფრედ კლიტონი, რომელიც 1940 წლის ზაფხულის დღეებში მანამდე მუშაობდა წარმოებაში, სანამ დაღლილობისაგან არ დავარდებოდა. როცა რომმელი ეგვიპტეს მიადგა, მან სიტყვა დასდო, არ მოეწია ჩიბუხი, სანამ ფაშისტები აფრიკის ამ ნაწილიდან არ იქნებოდნენ განდევნილნი. და იგი მრავალი თვის განმავლობაში ცარიელ ჩიბუხს სწუწნიდა. გააფთრებული ენერგიით მუშაობს ქარხანაში მუშა ბოლტონი. იგი წარმოებაში მივიდა მას შემდეგ, როცა ფაშისტთა თვითმფრინავის ბომბმა სახლი დაუნგრია, რომლის ნანგრევებქვეშ მოჰყვა მისი ცოლ-შვილი.

მაგრამ, შეიძლება ითქვას, სხვებზე უფრო ცოცხლად და დაუფარავი სიმპატიით გვიხატავს პრისტლი მუშა კომუნისტს ბერტ ოგმორს—ქარხნის ერთ-ერთ ოსტატს. ვინც სამუშაოზე წესიერად დაიარებოდა და გულმოდგინედ მუშაობდა, — ახასიათებს მას რომანის ავტორი, — იმას ყოველთვის შეეძლო მისი იმედი ჰქონოდა, რადგან ოგმარი მოწადინებული იყო, რათა ქარხანას რაც შეიძლება მეტი თვითმფრინავი გამოეშვა რუსეთის დასახმარებლად. რადგან ოგმარი წარმოების კარგი მუშაკი იყო და ყველაფერს აკეთებდა, რაც კი შეეძლო, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, საწარმოს ადმინისტრაცია ძალიან აფასებდა მას, თუმცა უარყოფითად ეკიდებოდა მის პოლიტიკურ შეხედულებებს. ოგმარის სახით პრისტლის გამოჰყავს ერთ-ერთი დაკვირვებული, კულტურულად და პოლიტიკურად განვითარებული ისეთი ინგლისელი მუშა, რომელსაც ჩინებულად ესმის, თუ რა უდიდესი და მოწინავე როლი შეასრულა სსრ კავშირმა ჰიტლერული ტირანიის დამსხვრევაში.

ნათქვამი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს პრისტლის ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის გამოხატავს ინგლისელი ხალხის ნამდვილ გრძნობებს.

* * *

ოცდაერთ სექტემბერს მოსკოვში, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა პრისტლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო. მოხსენებით პრისტლის შემოქმედების შესახებ გამოვიდა პროფ. მ. მ. მოროზოვი. მომხსენებელმა განსაკუთრებით დაწვრილებით განიხილა პრისტლის რომანი „დღის სინათლე შაბათს".

პროფ. მ. მოროზოვის მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდა თვითონ პრისტლი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. პრისტლიმ თავის სიტყვაში სთქვა:

— მე ბედნიერი ვარ ვიყო თქვენი სტუმარი და გაგიზიაროთ ჩემი შეხედულებანი ლიტერატურაზე.

შემდეგ მან გააცნო დამსწრეთ თავისი თვალსაზრისი თანამედროვე დრამატურგიისა და პროზის განვითარების გზების შესახებ.

## საკავშირო კონკურსი პატარა მოთხრობაზე

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ" გამოაცხადა დახურული კონკურსი ახალგაზრდობისათვის გამიზნულ პატარა მოთხრობაზე. სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობამ მოწოდებით მიმართა მწერლებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ კონკურსში, რომელიც 1946 წლის პირველ იანვრამდე გაგრძელდება.

— საბჭოთა ხალხის ცხოვრება,—ნათქვამია მიმართვაში,—დაუშრეტელ მასალას იძლევა, რომ იგი ასახულ იქნას მკაფიო და წარმტაც მხატვრულ ნაწარმოებებში. საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლებმა არა ერთი და ორი ისეთი რომანი, პოემა, ლექსი და დრამა შექმნეს, რომლებიც ღირსეულად გამოხატავენ ჩვენს საბჭოთა ეპოქას. მაგრამ მოკლე მოთხრობას საბჭოთა ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ დაუჭერია თავისი შესაფერი ადგილი. მკითხველი, განსაკუთრებით ახალგაზრდა მკითხველი, მოითხოვს ისეთ მოკლე მოთხრობას, რომლის დაბეჭდვა შეიძლება არა მარტო ჟურნალში, არამედ გაზეთშიც.

ჩვენმა ახალგაზრდობამ სასახელოდ მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე. დიდ სამამულო ომის წლებში საბჭოთა სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლისათვის, სამშობლოსათვის თავდადების სულისკვეთებით საბჭოთა ახალგაზრდობის ბოლშევიკური აღზრდისათვის კომკავშირი ლენინის ორდენით არის დაჯილდოებული, ბუნებრივია, თუ მილიონობით ჭაბუკს და ქალიშვილს სურს ნახოს მწერალთა ნაწარმოებში თავისი მრავალფეროვანი ცხოვრების მკვეთრი და სწორი გამოხატვა, ამოიკითხოს პასუხი იმ კითხვებზე, რომელიც ახალგაზრდობას აღელვებს. კონკურსი სწორედ იმ მიზნით არის გამოცხადებული, რომ დაკმაყოფილებული იქნას ეს კანონიერი მოთხოვნილება. საკონკურსო მოთხრობები დაწერილი უნდა იქნან თანამედროვე ცხოვრების თემებზე და ხელს უნდა უწყობდნენ ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას.

მოთხრობების სანიმუშო თემატიკა ასეთია: წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებანი; სამამულო ომის გმირების—ჯარისკაცებისა და ოფიცრების საგმირო საქმეები; წითელი არმიის მებრძოლთა სამშობლოში დაბრუნება; კომკავშირელთა ცხოვრება და მოღვაწეობა ფრონტზე და ზურგში; საბჭოთა ახალგაზრდა ადამიანის მორალური სახე და ყოფაქცევა; ოჯახის, მეგობრობის, სიყვარულის საკითხები; საბჭოთა ბავშვები—სკოლების, სახელოსნო სასწავლებლების ცხოვრება; ბავშვების მონაწილეობა საბჭოთა ხალხის შრომით გმირობაში და სხვ.

სსრკ-ს მწერალთა კავშირის გამგეობა წინადადებას აძლევს ყველა თავის ორგანიზაციას ჩააბან კონკურსში მწერლები, მოაგვარონ საკონკურსოდ წარსადგენი მოთხრობების თარგმნა რუსულ ენაზე, შეაფასონ და შეარჩიონ საუკეთესო მოთხრობები ჟიურისათვის.

## მზადება ხალხურ შემოქმედების საკავშირო გამოფენისათვის

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი (დირექტორი გრიგოლ კაკაბაძე) გაცხოველებით ემზადება ხალხური შემოქმედების საკავშირო გამოფენისათვის, რომელიც ეწყობა მოსკოვს დეკემბრის პირველ რიცხვებში. შერჩეულთა და საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს განსაკუთრებული კომიტეტის მიერ მოწონებულია ხალხური შემოქმედების 40 ექსპონატი ქსოვილის, ხეზე ამოჭრილობის, ძვალზე კვეთილობისა და მხატვრობის დარგებიდან.

## ხალხური შემოქმედების გამოფენა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 25 წლისთავზე

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი მომავალი წლის 25 თებერვლისათვის, საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავთან დაკავშირებით, თბილისში მოაწყობს ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამოფენას. გამოფენის მოსაწყობად წინასწარი სამზადისი უკვე დაიწყო; ხალხური შემოქმედების ცალკეულ ოსტატებს დაკვეთილი აქვთ სხვადასხვა სახის ნიმუშების დამზადება გამოფენისთვის იქსოვება ხალიჩა დიდი ბელადის სტალინისა და მისი ერთგული თანამებრძოლის ლავრენტი ბერიას სურათით,—ხალიჩა შესრულებულ იქნება ქართული ორნამენტებით. გამოფენისათვის მზადებასთან დაკავშირებით საგანგებო ექსპედიციამ უკვე მოიარა სვანეთი და შეაგროვა ხალხური ლექსები და სიმღერები. ამავე მიზნით ექსპედიციები იგზავნება კახეთსა და მთიულეთში

ამ თარიღისათვის ხალხური შემოქმედების სახლს გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს ქართული ხალხური სიმღერების კრებული

# უკვდავი რუსი მხედართმთავარი

ამჟამად რუსი ხალხი და სამარადისო მეგობრობით მასთან შემტკიცებული სხვა საბჭოთა ერები სიყვარულით აღნიშნავენ ბრწყინვალე რუსი მხედართმთავრის—მიხეილ ილარიონის-ძე კუტუზოვის დაბადების 200 წლისთავს.

კუტუზოვი დიდი რუსი ერის სიამაყეა, ის მშვენებაა რუსეთის ისტორიისა, იმ ისტორიისა, რომელიც „თავის გულის ფიცარზე იჭდევს სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევით, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონესა და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ერს დღეგრძელობისა და გაძლიერებისათვის" (ი. ჭავჭავაძე). ამ სულის მოძრაობის, გულისნადების და წყურვილის გამომხატველი და განმახორციელებელი, როგორც ჩვენი დიდი პოეტი ამბობს, ერის საუკეთესო და უდიდესი მოღვაწენი არიან. მათი ღვაწლისა და ამაგის მეოხებით ცხოვრობს და სულდგმულობს ერი. ისინი გვიჩვენებენ ცხოველ მაგალითს იმისას, თუ რა სიმაღლემდე შეუძლია ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს.

„რამდენადაც დიდბუნებოვანია ერის მოღვაწე და მთავარი მოქმედი პირი, რამდენადაც ეს დიდბუნებოვნება ხშირია ერის ისტორიაში, იმდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალღონის და შემძლებლობის აწყვისათვის".

არ შეიძლება ქართველმა კაცმა არ გაიხსენოს დიდი ილიას ეს ღრმად მოფიქრებული შთაგონებული სიტყვები, როცა გონების თვალით გადახედავს რუსი ხალხის პირველ სამამულო ომს და მის მიერ აღძრულ სულისა და გულის მოძრაობას რუსი ხალხისას. 1812 წლის შემოდგომის დამდეგს ბოროდინოს ველზე ნაპოლეონის მანამდე უძლეველ ლაშქარს მოსკოვის შორეულ მისადგომებზე—წინ გადაეღობა რუსთა მხედრობა. რუსთა ლაშქარმა სისხლისგან დასცალა, წელში გასტეხა და ერთი თვის შემდეგ უკუაქცია ნაპოლეონი ისეთი თავზარდამცემი რისხვითა და მარცხით, როგორიც არ განეცადა არცერთ არმიას მანამდე. მეთაური და სულის ჩამდგმელი რუსეთის ამ დიადი განმათავისუფლებელი ომისა იყო რუსი ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი მიხეილ კუტუზოვი, რომელმაც ნაპოლეონის საწინააღმდეგო ომებში მწვერვალზე აიყვანა რუსი ადამიანის სიმამაცე და ვაჟკაცობა, სამხედრო ნიჭი და ოსტატობა.

და საკვირველი არაფერია, თუ 1941 წლის მძიმე დღეებში მრავალი რუსი მამულიშვილი და სხვა ეროვნების საბჭოთა პატრიოტი სასოებითა და მოწიწებით მიდიოდა დიდი მხედართმთავრის საფლავზე, რათა მის უდრეკ ნებისყოფასა და ვაჟკაცობაში, მის მხედრულ ნიჭსა და შორსმჭვრეტელობაში ეხილა „უტყუარი საწყაო თავის ძალღონისა და შემძლებლობის აწყვისათვის. ასევე ბუნებრივი იყო, როცა 1941 წლის 7 ნოემბერს დიდი ბელადის მიერ სხვა მხედართმთავართა შორის ნახსენები იყო მიხეილ კუტუზოვი, როგორც მაჩვენებელი იმ ღონისა და სულიერი საგზლისა, რომელიც მომადლებული აქვს რუს ერს დღეგრძელობისა და გაძლიერებისათვის.

მართლაც, მიხეილ კუტუზოვი ის უდიდესი რუსი ადამიანთაგანია, რომელიც თავის ცხოვრებითა და ღვაწლით ანსახიერებს ნათელს გონებას, მტკიცე ხასიათს, მოთმინებას, რაც რუსი ხალხის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანეს თვისებებად დაასახელა ამხანაგმა სტალინმა 24 მაისს რუსი ხალხის სადღეგრძელოდ წარმოთქმულ სიტყვაში.

ეს ნათელი გონება, ხასიათის სიმტკიცე და მოთმინება იყო კუტუზოვის ხმალი და ფარი მეომრის იმ მძიმე გზაზე, რაც მან უბრალო კაპრალობიდან ფელდმარშლობამდე გაიარა. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურა ის მამულის დიდებას და მატიანე თავისი ცხოვრებისა აღავსო დაუცხრომელი შრომით და უბადლო გმირული საქმეებით. ის მონაწილეობდა ყველა ომში, რაც კი რუსებს მე-18 საუკუნის სამოციან წლებიდან მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე უწარმოებიათ. კუტუზოვის მეომრული ვაჟკაცობისა და სამხედრო ნიჭის კვალი ამჩნევია ყირიმის ველებსა და დუნაის ნაპირებს, იზმაილის ბასტიონებსა და ბოროდინოს ბორცვებს. ციხე-ქალაქ იზმაილზე მიტანილ იერიშით და მისი აღებით მან გააოცა მთელი მაშინდელი მსოფლიო და ისეთი მხედართმთავრის აღტაცებული მადლობა დაიმსახურა, როგორიც სუვოროვი იყო. თავისი დიდი მასწავლებლის სუვოროვის ერთგულ მოწაფესა და განუხრელ მიმდევარს კუტუზოვს მთავარ ძალად უბრალო ჯარისკაცი მიაჩნდა, უყვარდა, პატივს სცემდა მას, ღრმად სწვდებოდა მის სულისკვეთებას, ზრდიდა და წრთვნიდა უშიშარ მებრძოლად. უბრალო ჯარისკაციც ულრმესი სიყვარულით უპასუხებდა მის მამობრივ მზრუნველობას. მუდამ უშიშარი და შეუპოვარი კუტუზოვი წინ უძღოდა თავის მეომრებს შეუპოვარ ფიცხ ბრძოლებში და წარბშეუხრელად შესცქეროდა თვალებში სიკვდილს.

უნიჭიერეს მხედრთმთავარს არ აკმაყოფილებდა ხანგრძლივ ომებში მიღებული პრაქტიკული გამოცდილება, ამდიდრებდა და აღრმავებდა მას თეორეტული ცოდნით. მრავალი ევროპული ენის მცოდნე კუტუზოვი შესანიშნავად იცნობდა მეცნიერების სხვა დარგებსაც, რაც მას შველოდა ყოფილიყო არა მარტო სამხედრო ხელოვნების დიდი ოსტატი, არამედ თავისი დროის ბრწყინვალე დიპლომატი, რომელსაც არა ერთხელ დაუგვირგვინებია უცხო ქვეყნებთან ურთიერთობა და მოლაპარაკება რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების გამარჯვებით.



ერთ-ერთი დიდი ღირსება კუტუზოვისა, როგორც დიდი მხედართმთავრისა, იყო მისი ულრმესი სიყვარული და თავდადება მამულისადმი, მისი ღრმა რწმენა რუსი ხალხის ძალასა და ძლიერებაში. მას სჯეროდა რუსი ხალხის უძლეველობა, ისევე როგორც რუს ხალხს სწამდა კუტუზოვის დიდი, ნათელი გონება და მხედრული ნიჭი, მეომრული ვაჟკაცობა და გამოცდილება, მაღალი მამულიშვილობა და კეთილშობილება.

ამიტომ მოხდა, რომ, როცა რუსეთი უმძიმესი განსაცდელის წინაშე, ნაპოლეონის შემოსევის წინაშე აღმოჩნდა, რუსმა ხალხმა ერთსულოვნად მოითხოვა რუსეთის მხედრობის სათავეში კუტუზოვის ჩადგომა ანუ პუშკინის სიტყვით რომ ვსთქვათ, „ერის რწმენის ხმამ სამშობლოს სახსნელად მოუწოდა კუტუზოვის წმინდა ჭაღარას". და იგი არ შემცდარა ამ არჩევანში. შეტევასა და თავდაცვაში თანაბრად ძლიერი კუტუზოვი ღრმად ჩასწვდა პირველ სამამულო ომის ხასიათს, იმ თავითვე სწორად აწონ-დაწონა მტრისა და თავისი ძალები, დასახა გარკვეული მიზანი და ხელი მიჰყო მის თანამიმდევრულ განხორციელებას. მიზნის მისაღწევად მას მომარჯვებული ჰქონდა წინათ მიღებული გამოცდილება მხედრული გამჭრიახობა, სიმტკიცე, მტრის მოტყუების ნიჭი, ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო მტრის დამარცხებისა და განადგურებისათვის. ნაპოლეონთან ბრძოლა კუტუზოვს გაუადვილა იმ გარემოებამაც, რომ მას აღზრდილი და გაწრთვნილი ჰყავდა მთელი პლეადა სარდლებისა, რომელთაგან ზოგი მეთაურობდა ჯარს ბოროდინოს ბრძოლაში, ზოგი ხელმძღვანელობდა გლეხთა პარტიზანულ რაზმებს, რომლებიც სპობდნენ ნაპოლეონის უკანდახეულ ჯარის ნაწილებს.

კუტუზოვის სამხედრო ნიჭი ნაპოლეონისაზე ძლიერი აღმოჩნდა. მან იგი დაამარცხა არა მარტო იმიტომ, რომ მას ეხერხებოდა ბრწყინვალე სამხედრო ოპერაციები, არამედ იმიტომ, რომ თავისი ხალხური ჭკუითა და მოსაზრებულობით მაღლა იდგა ნაპოლეონზე, შესწევდა უნარი გამოეცნო მოწინააღმდეგის ზრახვები. სწორედ კუტუზოვის ამ იშვიათ თვისებას ხაზგასმით აღნიშნავს ლევ ტოლსტოი თავის „ომსა და მშვიდობაში". ნაპოლეონს, რომელსაც სჯეროდა, თითქოს მის პირად ნებასა და ნიჭზე იყო დამოკიდებული ფრანგი ჯარისა და ფრანგი ხალხის ბედიბალი, ტოლსტოიმ დაუპირისპირა კუტუზოვი, რომელსაც ესმოდა და სწამდა, რომ მხოლოდ ხალხში ცოცხლობს ქედმოუხრელი ძალა—„პატრიოტიზმის ფარული სითბო", რომ ხალხი, რომლის „ერთად-ერთი მიზანია თავის მიწაწყლის გაწმენდა დამპყრობელთაგან", უძლეველია. ტოლსტოის აზრით, თვით კუტუზოვი მთელი სიწმინდითა და ძლიერებით ანსახიერებდა ამ ხალხურ გრძნობას და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მან ესოდენი ბრწყინვალებით დაამთავრა პირველი სამამულო ომის ეპოპეა.

ნაპოლეონის დამარცხება, მისი განდევნა რუსეთიდან და განადგურება კუტუზოვის ფასდაუდებელი ისტორიული ღვაწლია რუსეთის წინაშე. ამაოდ კი არ უთქვამს პუშკინს, რომ „სახელი და დიდება კუტუზოვისა განუშორებლად დაკავშირებულია რუსეთის სახელთან და დიდებასთან, უახლესი ისტორიის უდიდეს ამბების მოგონებასთან. კუტუზოვის ტიტულია: რუსეთის მხსნელი".

მეორე სამამულო ომის წლებში რუსმა ხალხმა კუტუზოვის სახეში დაინახა „თავისი ღონე და შემძლებლობა, თავისი მაგალითი".

დიდი ბელადის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა გაუძლო მტრის გაფთრებულ მოძალებას, გაანადგურა, განდევნა იგი ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან, ფაშისტური ტირანიისაგან იხსნა ევროპის ხალხები, მოიპოვა მსოფლიო ისტორიული გამარჯვება ომში, რომლის მსგავსი არ ყოფილა ისტორიაში. „ჩვენს საბრძოლო ალმებზე გამოსახული არიან სახელები, ახლობელი და ძვირფასი საბჭოთა პატრიოტისათვის. კუტუზოვის სახელი მათ შორისაა! მისი ვაჟკაცური სახე შთააგონებდა ჩვენს მებრძოლებს გმირობას. ერთ-ერთი უმაღლესი საბჭოთა ორდენი, რომელიც ეძლევა ომში ყველაზე სახელმოხვეჭილ მხედართუფროსებს, მეთაურებს, ატარებს მის სახელს. ამგვარად ჩვენს სახელოვანს, უდიდესი ისტორიული ამბებით აღსავსე ეპოქაში ხალხი ამკვიდრებს თავის სასიქადულო შვილის—რუსული არმიის დიდი გენერალ-ფელდმარშლის კუტუზოვის უკვდავებას". („პრავდა").

კუტუზოვის სახელი რუსი ხალხის სამხედრო ნიჭისა და მეომრული ქველობის სიმბოლოდ რჩება თაობათა მეხსიერებაში.

ვანო წულუკიძე

# ბესარიონ ჟღენტი

# პოეზიის იდეური აქტუალობისათვის*

გრ. აბაშიძის „ატენური ლექსების" ციკლის უკანასკნელ ლექსში „ძველ ტაძარში" მკაფიოდ არის გამოხატული ავტორის აშკარად პასეისტური განწყობილება, ღრმა სევდითა და გულისტკივილით შესცქერის პოეტი ჟამთასვლის გამო გაუქმებულ სამლოცველოს ფერწასულ მხატვრობას და თავის გაკვირვებასა და გაოცებას ფანტაზიით გამოწვეულ აჩრდილის მეშვეობით გადმოგვცემს:

„და გახვეული დარდის ძაძაში
მხატვრის აჩრდილი დადის ტაძარში,
დადის და უკვირს როგორ წაშლილა,
როგორ გამქრალა ნახატში ცეცხლი!
მხოლოდ ჯვარცმა-ღა მოსჩანს აჩრდილად
და თხელ თითებში იუდას ვერცხლი".

ვფიქრობთ უფლება გვაქვს ვკითხოთ: რა განწყობილებებს აღძრავს და აღვივებს მკითხველის ცნობიერებაში აქ დახატული სურათი, რა აზრებითა და გრძნობებით შეაიარაღებს იგი თანამედროვე ადამიანს? ნუ თუ საბჭოთა პოეტის შთაგონებას ახლა, ჩვენს უმაგალითო გმირულ და მგზნებარე დღეებში სხვა უფრო მადლიერი და ნაყოფიერი მასაზრდოებელი საგანი არ გამოუჩნდა, ვიდრე ძველ ტაძრის კედლებზე აღბეჭდილი ჯვარცმის გამოსახულება?

გრ. აბაშიძის, ისე როგორც სხვა ზოგიერთი თანამედროვე პოეტის შემოქმედებაში, უკანასკნელად შესამჩნევი ხდება გადაჭარბებული გატაცება ისტორიული წარსულის თემებით. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხალხი განუზომელი სიყვარულით და დიდებით ჰმოსავს თავის გმირულ წარსულს, თავის სახელოვან წინაპრებს, და ხალხის ეს გრძნობა სავსებით ბუნებრივად პოულობს გამოხატულებას ჩვენს ლიტერატურაში. ეს სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა. ჩვენ მხოლოდ იმის შესახებ ვლაპარაკობთ, რომ ისტორიულ წარსულისადმი შემოქმედებითი ინტერესი არ უნდა უპირისპირდებოდეს და ოდნავადაც არ უნდა აფერხებდეს თანამედროვე ლიტერატურის ძირითად მოწოდებას და დანიშნულებას,—ჩვენი დიადი დროების, ჩვენი ახლანდელი სინამდვილის ასახვას მხატვრული მწერლობის ყველა ჟანრის საშუალებით. აქ არსებითად საკითხი შეეხება პროპორციას, ყურადღებისა და შემოქმედებითი ინტერესის განაწილების ერთგვარ კანონზომიერებას.

თუ დღემდე ჩვენს პრესასა და კრიტიკაში არაერთხელ ყოფილა ლაპარაკი ისტორიული თემების ხვედრითი წონის ჭარბად უპირატეს მდგომარეობაზე ქართულ თანამედროვე პროზასა და დრამატურგიაში, ახლა ეს საშიშროება სავსებით რეალურად იჩენს თავს ჩვენს სალირიკო პოეზიაში. და განსაკუთრებით საყურადღებო ის გარემოება, რომ ისტორიული თემების პოეტურად დამუშავებისას ხშირად უგულებელყოფილია თანამედროვე ადამიანის აქტიური თვალთახედვით წარსულის მოვლენათა ხილვისა და გააზრების ამოცანა.

თუ როგორ უნდა განსახიერდეს საბჭოთა პოეზიაში ჩვენი გმირული წარსულის გრძნობა, ამის შესანიშნავ ნიმუშს თვითონ გრ. აბაშიძის ლექსი „დროშები" წარმოადგენს, სადაც მოცემულია ცხოველი კონტაქტი წარსულის მასალისა და თანამედროვე ადამიანის უმაღლეს საბრძოლო მისწრაფებათა შორის.

სამწუხაროდ ასეთ აქტიურ შეგრძნობას წარსულის მასალისა ვერ ვხედავთ გრ. აბაშიძის ლექსების ციკლში, რომელიც არმაზის ცნობილ არქეოლოგიურ აღმოჩენების ნიადაგზე წარმოშობილი განწყობილებით არის აღბეჭდილი.

ავიღოთ, მაგალითად, ამ ციკლის ლექსი „ძევახ პიტიახში". იმის ნაცვლად, რომ შორეულ საუკუნეთა წიაღიდან ჩვენი დიდებული წარსულის ამ ძვირფას ძეგლთა გამონათება ნაციონალური სიამაყის გრძნობას მატებდეს ადამიანს და აღაფრთოვანებდეს მას შემოქმედებითი გენიის უკვდავების რწმენით, პოეტი ყოველივე ამქვეყნიური წარმავლობის მწუხარე გრძნობით არის გამსჭვალული და ძევახ პიტიახშის სახეში საკუთარ განწირულების გამოხატულებას ხედავს:

„და არც გულია, არც სიმაგრეა,
წლებს რომ არ წაჰყვეს მტვრად და
ნაცრად...
შენც, ვიდრე მიწამ მტვერში გაგრია,
ჯერ იქნებ ტრფობამ გაგანადგურა,
შენც დაგიწვავა ქარმა აფრები...
მარადისობის შავბნელ წიაღში.
ჩვენ სიყვარულით ვართ თანაბრები,
მეფე, პოეტი და პიტიახში".

ასე უკავშირდება პოეტი ამ შორეულ წინაპარს—„ქარის მიერ დაწვილი აფრებისა" და უიმედოდ განწირული სიყვარულის მეშვეობით. ცხადია, რომ აქ ჩვენ ვერ ვგრძნობთ წარსულის იმ გმირულ სულის განცდას და იმ დიდ აღმაფრთოვანებელ ძალას წარსულის შემოქმედებითი გენიისა, რაც დამახასიათებელია და უმთავრესი ჩვენი ხალხის დამოკიდებულებაში თავისი დიადი ისტორიულ მემკვიდრეობისადმი.

ლექსში „ზარზმა" ჩვენ ვხედავთ ისტორიული წარსულის იდეალიზაციის აშკარად გამოხატულ საფრთხეს. ეხება რა ჩვენი ნაციონალური ისტორიის ერთ-ერთ უშესანიშნავეს ხანას, პოეტი სწერს:

„მაშინ ძლიერნი და მკლავმაგრები,
მტრებს თვით ზარავდნენ გაბატონებით
მესხეთს მართავდნენ ათაბაგები,
და ტახტზე ისხდნენ ბაგრატოვნები.
სამოთხეს ჰგავდა სამცხის მთაბარი,
ულრუბლო იყო ცა სხივოსანი".

ჩვენ კანონიერად ვამაყობთ ჩვენი ყოველი ღირსეული წინაპრის ღვაწლით და დამსახურებულად ვადიდებთ ყოველ ცალკეულ ბაგრატიონს, თუ ათაბაგს, რომელსაც დიადი საგმირო საქმეებით გაუწევია სამსახური ჩვენი ხალხისათვის, მაგრამ არა მგონია კანონზომიერი იყოს, რომ თანამედროვე ადამიანი ასე შენატროდეს, სამოთხედ მიიჩნევდეს ბაგრატიონის ტახტზე ჯდომისა და ათაბაგების მმართველობის ხანას, არა მგონია, რომ ასე „ულრუბლო" და განუყოფელად „სხივოსანი" ყოფილიყოს ქართველი ხალხის ცხოვრების კაბადონი წარსულის რომელიმე საუკუნეში.

ისტორიისადმი ჩვენი განუზომელი ინტერესისა და მოკრძალებული დამოკიდებულების მიუხედავად, არასდროს არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ჩვენ ვართ ჩვენი ნაციონალური ისტორიის ყველაზე მაღალი და ბრწყინვალე ეპოქის მოწამენი და მონაწილენი, რომელთაც არ შეგვიძლია ასე იდეალიზირებულად მივჩერებოდეთ წარსულის რომელიმე ეპოქას.

ჩვენ განზრახ ასე დაწვრილებით შევჩერდით ჩვენი ახალი პოეტური თაობის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენლის გრიგოლ აბაშიძის უკანასკნელ პერიოდის ლექსებზე, ამ ლექსებში შემჩნეულს ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე. სწორედ გრ. აბაშიძეს, როგორც ჩვენი გმირული სინამდვილის გარემოცვაში აღზრდილ პოეტს მოეთხოვება, რომ მისი ყოველი ლექსი ეხმიანებოდეს ჩვენი ხალხის სულისკვეთებას, შეესაბამებოდეს ხალხის აზრებსა და წარმოდგენებს, ასახავდეს ჩვენი ცხოვრების ახლანდელ მაჯისცემას.

„პოეზია არის ცხოვრების გამოხატულება, ან უკეთ რომ ვსთქვათ, თვით ცხოვრება. კიდევ მეტი: პოეზიაში ცხოვრება კიდევ მეტად არის ცხოვრება, ვიდრე თვით სინამდვილეში", ამბობდა ბელინსკი და განაგრძობდა: „პოეზია—ეს ცხოვრების მაჯისცემაა, ეს—მისი, სისხლია, მისი ცეცხლი, მისი ნათელი და მზე". გენიალური რუსი კრიტიკოსის ამ სიტყვებში შესანიშნავად არის გამოთქმული ჭეშმარიტი პოეტური შემოქმედების უმაღლესი მნიშვნელობა და დანიშნულება. ასეთი უნდა იყოს საბჭოთა პოეტის შემოქმედებითი იდეალი.

ამიტომ ჩვენ არ გვაქვს უფლება ვურიგდებოდეთ პოეტურ შემოქმედების გამოთიშვის შემთხვევებს ჩვენი ხალხის ახლანდელი ცხოვრებისაგან, მის მაჯისცემისაგან, მისი მასულდგმულებელი და მამოძრავებელი იდეებისა და განწყობილებათა ატმოსფეროსაგან.

ხოლო ასეთი გამოთიშვის მკაფიო და დამაფიქრებელ ნიმუშებს ვხედავთ პოეტ კოლაუ ნადირაძის მთელ რიგ უკანასკნელად გამოქვეყნებულ ლექსებში.

თუ გრ. აბაშიძის ზემოთდასახელებული ლექსები, მათში მკაფიოდ გამოვლენილ არაჯანსაღი ტენდენციებით მხოლოდ ეპიზოდს შეადგენენ ამ პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, შემთხვევით ეპიზოდს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ გრ. აბაშიძის მთელი პოეტური ინდივიდუალობის დამახასიათებელ მოვლენად, კოლაუ ნადირაძის უკანასკნელი პერიოდის პოეტურ მოღვაწეობაში ხალხის ბრძოლისა და ცხოვრების სინამდვილისაგან გამოთიშული განწყობილებანი სწორედ განმსაზღვრელსა და უპირატეს მდგომარეობას იჩენენ.

ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ აქ საყოველთაოდ ცნობილი და უდავო ჭეშმარიტებანი: ჩვენი ხელოვნება უაღრესად რეალისტური ხელოვნებაა, მისი უმაღლესი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ სიმართლით ასახოს ხალხის ცხოვრების სინამდვილე ამ უკანასკნელის განვითარებისა და შემდგომი სრულყოფის თვალსაზრისით. თანამედროვე სალირიკო პოეზიის მოწოდებას ჩვენი ხალხის, საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების გამოხატვა შეადგენს, უპირატესად, თანამედროვე ადამიანის მსოფლშეგრძნობის გადმოცემა, მისი კეთილშობილური მისწრაფებების, მისი ხასიათის მაღალ ღირსებათა გამოთქმა.

სალირიკო პოეზიის უპირობო თავისებურება აუცილებლად გულისხმობს პოეტის მიერ პირადულ, საკუთარ, სუბიექტურ განწყობილებათა და განცდათა გამოხატვას. მაგრამ ყოველი ლირიკული ლექსის საზოგადოებრივი ღირებულება და მნიშვნელობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად პოეტის მიერ გამოთქმული პირადი განწყობილება ეხმაურება და ეთანხმება ხალხის საერთო განწყობილებას, ეპოქის ადამიანის სულიერი პროფილის საერთო დამახასიათებელ თვისებებს. ყოველი დიდი ლირიკოსი, ყოველი ჭეშმარიტი პოეტი ყოველი ხალხისა და ყოველი საუკუნისა საუკეთესო ქმნილებებში პირად განწყობილებათა მეშვეობით სწორედ თავისი დროის მოწინავე ადამიანის სულიერი ცხოვრების ტიპიურსა და დამახასიათებელ მისწრაფებას გამოავლენდა და მხოლოდ ასეთი ნაწარმოებნი ხდებოდნენ ხალხის ძვირფას კუთვნილებად, იმსახურებდნენ საყოველთაო აღიარებას, მოწონებას, პოპულარობას.

რასაკვირველია, შეუძლიათ მიგვითითონ საწინააღმდეგო ხასიათის შემთხვევებზეც (განსაკუთრებით დეკადანსის პოეტთა შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან), მაგრამ ჩვენ აქ ვეხებით არა გამონაკლისებს, არამედ მსოფლიო და მშობლიური დიდი კლასიკური პოეტური ტრადიციის იმ მაგისტრალურ გზას, რომელსაც განავითარებს და განაგრძობს თანამედროვეობის ფრიად თავისებურ ვითარებაში საბჭოთა სალირიკო პოეზია.

თანამედროვე ლირიკოსი პოეტი, რა თემაზედაც არ უნდა სწერდეს იგი (თემატური არე ჩვენი პოეზიისა დაუსრულებლივ უსაზღვროა და შეუზღუდავი), ჩვენი დროის ადამიანის მსოფლშეგრძნობას უნდა გადმოგვცემდეს, მისი სულიერი ლტოლვისა და მისწრაფების სამყაროს უნდა ასახავდეს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მიღწეულ იქნას კონტაქტი პოეტური შემოქმედებისა ხალხის სულიერ ცხოვრებასთან, მის გულისძგერასა და მაჯისცემასთან. რამდენად პასუხობს ჩვენი პოეზიის ამ უპირველესსა და უცილებელ მოთხოვნას, მაგალითად, კოლაუ ნადირაძის ლექსი „ჩემი ვარსკვლავი"?

სამამულო ომის მძაფრსა და მრისხანე დღეებში, მთელი ხალხის საყოველთაო თავგანწირული შემართების დაძაბულ ვითარებაში პოეტის შთაგონება „სავარსკვლავეთის" წიაღში გადასახლებულა, სადაც „ერთი ვარსკვლავი ღამეში თითქოს ესაუბრება უხილავ გამჩენს". და „უხილავ გამჩენთან" რჩეული ვარსკვლავის ეს უხმო და იდუმალის საუბარი იპყრობს და თავისკენ იზიდავს პოეტის არსებას:

„სავარსკვლავეთში თითქოს ისმის აქ
[illegible] საუბარის სიტყვები წმინდა,
ხავერდის კაბის [illegible] დიდი სიჩუმე
ჩამოდის ციდან
სმენად ქცეულა მთელი სამყარო და მეც
სიჩუმეს ვუსმინო მინდა?

ამ სტრიქონებში გამოხატული განცდა სამყაროს ვითარებისა, ამ დიდი კოსმიური დუმილის და სიჩუმის შეგრძნება, რასაკვირველია, პოეტის უაღრესად ინდივიდუალურ განწყობილებას გადმოგვცემს და მოასწავებს ამ შემთხვევაში მის სრულ განცალკევებას ხალხის საერთო განწყობილებისაგან, აკი თვითონ პოეტი მომდევნო სტრიქონებში უკვე აშკარად გამოსთქვამს ამ ლირიკულ მონოლოგის გმირის სულიერ განმარტოებას და ობლობას:

„ჩემო ვარსკვლავო, შენს სიმაღლემდე
ამოდის სული შთენილი ობლად".

და აი როგორ შეიგრძნობს მთელს სამყაროს, ბუნების განწყობას, ადამიანთა ხვედრს ეს „ობლად შთენილი სული", გაიზნული ადამიანთა საზოგადოებრივ რეალური სინამდვილისაგან და მთლიანად გადასული „სავარსკვლავეთის" ზექვეყნიურ წიაღში:

„შენამდე აღწევს ფრინველთა ლოცვა,
ყვავილთა სუნთქვა, ტყეთა შრიალი,
ზღვათა და ქართა ჰმუნვა და ოხვრა და
მთვარის მუჭზე ცვართა ციალი.
ბავშვის ბაგეთა ღიმილი ნაზი და დიდი
სევდა ადამიანის".

ჰმუნვითა და ოხვრით მოცული სტიქია ბუნებისა ორგანულად არის დაკავშირებული დიდი სევდით შეპყრობილი ადამიანის ბუნებასთან. ამგვარად წარმოუდგენია და განუცდია ბუნებისა და ადამიანის საზოგადოების გარემოცვა „ობლად შთენილ" სულს, ხოლო რა ხდება თვით „სავარსკვლავეთის წიაღში"?

„რაღაც დიადი და ღვთაებრივი სავარსკვლავეთის წიაღში ხდება,
ეგების ფიქრი და სიყვარული აქ
განისვენებს და აქვე ჩნდება,
შემდეგ იღვრება სულდგმულის გულში,
პოულობს სიტყვას და აღარ კვდება!"

მხოლოდ ამ მისტიურ-ღვთაებრივ წიაღში, „სავარსკვლავეთში" ეძებს ამ ლირიკული ტირადის პერსონაჟ საწყისი ფიქრისა და სიყვარულისა, მხოლოდ იქიდან შეიძლება გადმოეცეს ადამიანთა სამყაროს უნარი სიყვარულისა და აზროვნებისა, და ამიტომაც ამ „ვარსკვლავეთში" ეძებს ადამიანი განკურნებას ამქვეყნიური ცხოვრებით განცდილი წუხილისა და ტკივილებისაგან და იგი, ეს „ობლად შთენილი" სული მიილტვის თავის რჩეულ ვარსკვლავისაკენ, რათა შეუერთდეს მას და ამასთან ერთად ესაუბროს „უხილავ გამჩენს":

„ჩემო ვარსკვლავო, მინათე მუდამ, მხოლოდ
შენ გიმზერ, მხოლოდ შენ გარჩევ
მომავალერსე, ჩემო ვარსკვლავო
შენი ღიმილი მკურნავს და მარჩენს,
ჩემო ვარსკვლავო ჩვენ თითქოს ერთად
ვესაუბრებით უხილავ გამჩენს".

ამ ლექსში გამოხატული სულიერი ობლობის ყოვლისმომცველ სევდისა და წუხილის მტკივნეული განცდა, მისწრაფება ზექვეყნიური, მისტიურ-ღვთაებრივი „სავარსკვლავეთის" წიაღისაკენ, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება ჩვენი დროის ადამიანის წარმოდგენებს, განცდებს, განწყობილებებს და ამიტომაც იგი უცხოა და გაუგებარი ჩვენთვის.

შეუძლებელია, ამ ნაწარმოებში გამოთქმული მსოფლშეგრძნობა ნამდვილად წარმოადგენდეს თუნდაც ავტორის, საბჭოთა პოეტის რეალურ სულიერ განწყობილების ანარეკლს. ეს ლექსი უფრო ლიტერატურული წარმოშობისაა, წარსულის პოეტური მემკვიდრეობის ზემოქმედების შედეგად აღმოცენებული და არ წარმოადგენს ცოცხალი, დღევანდელი სულიერი ცხოვრების ანარეკლს. ამდენად აქ გამოხატული დრამა მოკლებულია გულწრფელ შემოქმედების ძალას, იგი მხოლოდ „პოზაა", რაც ყველაზე შეურიგებელი მტერია ლირიკული პოეზიისა, ამიტომაც ეს უეჭველად მაღალი ოსტატობით აღბეჭდილი ქმნილება არსებითად არ შეიცავს ჭეშმარიტ პოეტურ ლირიზმს, — თანამედროვე ადამიანის შეგნებაზე ორგანიულ და ღრმა ესთეტიური შემეცნებითი ზეგავლენის ძალას.

აქაც შეუძლიათ დაგვისახელონ მრავალი მაგალითი ადამიანის სულიერი ობლობისა და ბუნების წიაღისაკენ, თუ ზერეალური სფეროებისაკენ მისწრაფების გამომხატველი მაღალი პოეტური შემოქმედებისა. და რა საჭიროა მაგალითების ძებნა: განა ჩვენმა უკვდავმა ბარათაშვილმა უკიდურესი სიღრმით და გენიალური ძალით არ გამოსთქვა ადამიანის ლტოლვა, რომ მხოლოდ „ვარსკვლავთა თანამავალთა ამცნოს გულისა მან საიდუმლო". მაგრამ, ამ ლექსის აღმოცენების კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში ეს იყო სწორედ ტიპიური განწყობილება ეპოქის მოწინავე ადამიანისა და სწორედ ამით მოიპოვა ბარათაშვილის შედევრმა „მერანმა" ნამდვილი უკვდავება და მარადიული მომხიბვლელობა.

ლექსი „ჩემი ვარსკვლავი" შემთხვევითი როდია ამ მხრივ კ. ნადირაძისათვის. ასეთივე უკიდურესი ინდივიდუალიზმითა და მისტიური მსოფლშეგრძნებით არის აღბეჭდილი მისი ლექსი „ღიმილი".

„რაღაც დიდმა გულს უეცრად ხელი
შეახო,
რაღაც სინათლე იდუმალი ჩემში ინთება,
ვიგრძენი წუთით: თითქოს ღმერთი სდგას
შორიახლო,
ღიმილით უსმენს ჩემს გულისთქმას და...
მაკვირდება".

„უძირო ზეცისაკენ", სასაფლაოთა იდილიის წიაღში, ცხოვრების ამაოებისა და ყველაფრის უკვალოდ წარმავალობის განწყობილებათა სფეროში გადავყევართ კ. ნადირაძის ლექსს „დავიწყება", რომელიც ასეთი ამაზრზენი სურათით თავდება:

„წაქცეულ ჯვართან ეკლის ბარდებს [illegible]
ქარი ჰკლავს,
გამხმარ ყვავილთა და დალეწილ სკამის
მახლობლად,
მხოლოდ სურათი გაცრეცილი ქანობს
ობლად
და ბრმა თვალებით ის გაჰყურებს უძირო
ზეცას".

არა მგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ თანამედროვე პოეზიას ახლა შთაგონებისა და ხატვის სხვა უფრო ახლობელი, მნიშვნელოვანი და ცხოველმყოფელი საგანი გააჩნია, ვიდრე დავიწყებულ სასაფლაოზე წაქცეული ჯვარი და გამხმარი ყვავილები.

თანამედროვე ქართული ლექსის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი კ. ნადირაძე უნდა დაფიქრდეს თავისი შემოქმედებითი კონცეპციის შესახებ. მან თანამედროვე ადამიანის დამახასიათებელი განცდებითა და განწყობილებებით, ჩვენი სინამდვილის მოვლენებით უნდა გაამდიდროს თავისი პოეტური სამყარო. სხვაგვარად შეუძლებელი იქნება მისთვის თავისი პოეტური ნიჭიერებისა და პოტენციის შესაფერი ადგილის მოპოვება საბჭოთა პოეზიის განვითარებაში, ჩვენი ხალხის შეგნებაში.

(დასასრული იქნება).

*) იხ. „ლიტ. და ხელ." № 31 (84).



სვანეთის პეიზაჟი. ხატ. მხატ. [illegible]

# კლავდია დევდარიანი

# დ ე დ ო ფ ა ლ ი

ფოსტლების ფრატუნით შემოვიდა გამდელი. ფანჯრებზე ჩამოშვებული მუქი ფარდები დღის სინათლეს არ უშვებდნენ ოთახში. მოხუცმა თვალები მოავლო იქაურობას. მისი გაზრდილი ტახტზე ბალიშებში ჩაფლულიყო და არ ინძრეოდა. ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა ტახტს. ქალის მხარს ოდნავ შეახო ხელი და ჩურჩულით უთხრა:

— შვილო, ტატო მოვიდა.—ამ სიტყვებმა იმოქმედეს ტახტზე უძრავად მწოლარეზე და გამდელის წინ აიმართა მაღალი ტანის ქალი. გამდელმა შეხედვა ვერ გაუბედა თავის გაზრდილს, იატაკს დაჟინებით დააჩერდა, კვლავ ჩურჩულით უთხრა:

— სასტუმრო ოთახში გელოდება, შვილო, შემოვიდეს?—ქალს არ უპასუხნია, ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია. გამდელი მიხვდა. უნდა მოეწვია სტუმარი. თვალი შეავლო ქალს. ქალი გარედ იცქირებოდა. თითქოს დაავიწყდა რა უთხრა გამდელმა. პარკუხენა წარბი ზევით ჰქონდა აწეული. [illegible] და მკაცრად მოკუმული ტუჩები ოდნავ გაეხსნა, ჩურჩულით სთქვა:

— საიდან გაჩნდა სწორედ დღეს??—გამდელი უხმოდ გავიდა. როცა ოთახში [illegible] ხმა გაისმა, ქალი უეცრად მოტრიალდა, მის სახეზე სევდა და სასოწარკვეთილება აღარ იხატებოდა მხიარული ღიმილით ორივე ხელი გაუწოდა შემოსულს:

— კარგ დროს მოხვედი, ტატო!

— ნახვის სურვილმა მძლია, [illegible] თქვენსკენ გამოვეშურე.—ტახტზე ჩამოსხდნენ ორივენი. მოსული აღტაცებით შესცქეროდა ქალის სახეს:

— კიდევ მეტად გამშვენებულხარ, ეკატერინე!

— დიდი ხანია, არ მინახავხარ, ტატო!

— მე კი ყოველ წამს გხედავდი, მშვენებავ.—დიდხანს ისაუბრეს მხიარულად. ტატოსაგან მოტანილ საჩუქარს დაჩხაროდა ქალი, კმაყოფილი შლიდა წვრილად დაწერილ ფურცლებს. სიამაყეს გრძნობდა: იცოდა მას ეძღვნებოდა ყოველი სტრიქონი.

უეცრად ქალმა მოიწყინა. მუთაქას დაეყრდნო. მწუხარე სახით დააცქერდა ტახტზე მიმოფანტულ ფურცლებს. უჩვეულო სევდა მის სახეზე აღბეჭდილი, უფრო მომხიბვლელს ხდიდა საყვარელ სახეს ქალისას.

ქალმა ზეაიხედა, თვალი შეავლო ტატოს. იგრძნო უსაზღვროდ ბედნიერი იყო იგი ამ წამს. დაენანა. დე, ბედნიერი იყოს ეს საღამო მისთვის—გაუელვა ამ ფიქრმა. ოთახში დაფანტულად მიმოიხედა. უხერხულობა იგრძნო. ტახტიდან წამოდგა. კვლავ მიიხედა ტატოსაკენ, კვლავ შეხედა მის ბედნიერ სახეს, ნელი ნაბიჯით გაეშურა ფორტეპიანოსაკენ. კლავიშებზე ათამაშდნენ ქალის თითები. ოთახში გაისმა ქალის ხმა. ტატო იჯდა ტახტზე, ბალიშებზე მიყრდნობილი. თვალები დაეხუჭა ქალის ხმით მოხიბლულს. ეკატერინეს ხმაში ბედნიერება და სევდა შეერთებულიყო. ქალის მწუხარებამ აქ ჰპოვა ნუგეში და გრძნობდა უკანასკნელად უკრავდა ასე მშვენივრად, რადგან უკანასკნელად უკრავდა მისთვის, ვინც ძვირფასი იყო ამ ქვეყანად.

სიმღერა შეწყდა. ტატო შეაკრთო ამ უცნაურმა სიჩუმემ. წამოდგა, ქალისაკენ გაეშურა. მერე უკან დაიხია.

ეკატერინე უძრავად იჯდა სკამზე. ხელები უღონოდ ჩამოეყარა. ტატომ დაინახა, როგორ გაფითრებული მოსჩანდა მისი თეთრი ხელები მუქი ფერის ხავერდის კაბაზე. თვალებიდან ჩამონადენი ცრემლები უსველებდა გულმკერდსა და კალთას. ტატომ ორივე ხელი ქალისაკენ გაიშვირა:

— ეკატერინე?!—ქალი ამ ხმამ შეაკრთო. უეცრად წამოხტა.

— დამტოვე, ტატო.—ქალის ცრემლებმა ვაჟი უხმოდ გააბრუნა კარისაკენ.

დაფიქრებული მიდიოდა ტატო. ის ერთ ფიქრს შეეპყრო, „რათ სტიროდა ეკატერინე?"

ახალგაზრდების ჯგუფი შემოერტყა გარს მხიარული ყიჟინით.

— როდის ჩამოდი, ტატო?—გამოერკვა, მეგობრებს გაუცინა მხიარულმა.

— დღეს ჩამოვედი.

— რატომ არ გვინახულე?—მხარზე დაწვდა ლევანი და შეარხია მეგობარი

— თქვენსკენ მოვეშურებოდი ეხლა.

— კარგ დროს შეგვეყარე, ერთად წავიდეთ!

— სად მიდიხართ?

— ჭავჭავაძიანთ სახლში. დედოფლობა უნდა მივულოცოთ ეკატერინეს!

— რა დედოფლობა?

— არ იცი?—სო, შენ აქ არ იყავ. სამეგრელოს მთავარმა დანიშნა წუხელ ეკატერინე.—ტატო შედგა. იგრძნო როგორ აუკანკალდა მუხლები. პირველად ცხოვრებაში დაავიწყდა თავის სიკოჭლე და სიფრთხილე გავლის დროს. ამხანაგებმა ვერ შენიშნეს შეკრთომა. მხიარულად განაგრძობდნენ:

— ნამდვილი სადედოფლოა, ჩვენი ეკატერინე.

„ნამდვილი სადედოფლოა ეკატერინე"—უხმოდ გაიმეორა ტატომ და გაახსენდა მისი სიტყვები — „დამტოვე ტატო". სად მიდის? მაშ უნდა მიულოცოს დედოფლობა ეკატერინეს. ეხლა? ამ წუთში? არა, არ შეუძლია. განვლილი ბედნიერება ჯერ კიდევ ახლოს არის მასთან.

— ცოტა საქმე მაქვს აქვე, მალე მოვალ.—შეესიტყვა მეგობრებს.

— ხომ ჩვენთან მოდიოდი? მოიცა, ტატო,—არ ეშვებოდნენ ისინი.

— დაანებე თავი, ლევან. ხომ იცი მაგის ხასიათი.

ტატომ გადახედა მთვარით განათებულ თბილისს და ახლა იგრძნო სადაც იყო. როდის ამოვიდა აქ? მაშ ასე ხანმოკლე იყო მისი ბედნიერება? ეხლაც შორიდან ესმოდა ეკატერინეს სიმღერა, მის სიყვარულს რომ დასტიროდა უკანასკნელად.

დედოფალი. ეკატერინე დედოფალი. იმეორებდა გარშემო ყველაფერი. ამასვე ჩასჩურჩულებდა მთაწმინდის სიო. მუდამ დედოფალი იყო მისთვის ეკატერინე. მაგრამ, არა! ეხლა მისი დედოფალი კი არა, „სამეგრელოს დედოფალი" იყო.

ფიქრების მოსაცილებლად შუბლზე გადაისვა ხელი ტატომ, ჩურჩულით წარმოსთქვა:

„აწ მივხვდი მე, უბედური,
თვალთა შენთა მეტყველებას:
თურმე ცრემლი უცნაური,
მოელოდა ჩემს ობლობას!"

ასორმოცდაათი წელი საიათ-ნოვას გარდაცვალებიდან

# „კლდეა ჩემი საფუძველი, ქვიშა არ გეგონოთ!"

საიათ-ნოვა

შენ იტირებ, არ მოკვდები,
შენ იმღერებ დღე ათასი.
ქუჩებშია ჩირაღდანი,
აბრეშუმის ფიანდაზი.
შენი თარი — შავარდენი
არის ოქროს ავჟანდითა,
ცხრა კუბოში რომ იძინო,
გასძლებ ლექსის მჟავბადითა!

გ. ლეონიძის ლექსიდან—„საიათნოვა".

პოეტო და მეომარო, გიგონებ და გიმზერ!
შენ მღეროდი ჭიანურით საქართველოს გმირზე.
სიმი რომ ვერ დაგეტია ჭიანურის ალყზე —
სიმის ერთი ნაწიბური გადასჭიმე ხალხზე,
ხალხი სწნავდა შენს ჭიანურს ჭკვიანურად, მძიმედ,
გამარჯვების მოლოდინში არ ჰკარგავდა იმედს.

ი. გრიშაშვილის ლექსიდან—„საიათ-ნოვას ჭიანურით".

ვალერი ბრიუსოვი

## საიათ-ნოვას პოეზია

მეთვრამეტე საუკუნეში ჩნდება აშუღ-პოეტის, ხალხური მგოსნის ახალი ტიპი, რომელიც ძვირად აფასებს თავის შთაგონების ნაყოფს და ცდილობს დაიცვას, შეინახოს იგი. ამასთან ასეთი აშუღი რამდენიმედ უკვე გან[illegible] და წიგნის კაცი, ე. ი. კაცი, რომელიც იცნობს წარსულის პოეზიას. უტოვებს რა თავის ლექსებს შთამომავლობას, ცხადია, იგი იწყებს წარსულით დაინტერესებას. დასასრულ, იზრდება ხალხის განსაზღვრული ნაწილის მოთხოვნილებაც; მგოსნისაგან დაიწყე' მოთხოვნა, რომ მან ლექსის ტრადიციულ ელემენტებთან ერთად შექმნას რაღაც მეტი: მკაცრი ორიგინალური ფორმისა და ღრმა შინაარსის ნაწარმოები.

მგოსანი, რომელმაც აშუღური პოეზია მანამდე მიუღწეველ სიმაღლეზე აიყვანა, იყო საიათნოვა; თავისი დიდი ნიჭის ძალით ხალხური მგოსნის ხელობა მან პოეტის მაღალ მოწოდებად აქცია. შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ის, რაც საიათნოვას წინამორბედებმა გააკეთეს, არაფერია მისი ღვაწლის წინაშე და ჰქრება მისი (საიათნოვას) დიდების შუქზე. საიათნოვამ თავისი მაგალითით პირველად გვიჩვენა და დაგვიმტკიცა, თუ რა ძალა იმალება ხალხური მგოსნის ხმაში. გვიჩვენა, რომ მგოსან-მომღერალი—რა მსუბუქიდაც არ უნდა ჩანდნენ თემები მისი ლექსებისა—არა მარტო მომლხენთა გამრთობი, არამედ მასწავლებელიც, წინასწარმეტყველიცაა. საიათნოვამ შეითვისა თავის წინამორბედთა მანერა, მაგრამ მასცა მას სრულყოფილი წრთობა, და უმალვე ცხადი შეიქნა, თუ რა სიმდიდრე, რა მშვენიერება იმალება აშუღის იმ ლექს-სიმღერაში, რომელსაც ბევრი ძალიან ზერელედ ეკიდებოდა. იმ დროს, როცა სწავლულ ბერთა სამონასტრო პოეზია კვდებოდა საიათნოვამ თანამედროვეთ აგრძნობინა, რომ სომხური პოეზია [illegible] ცოცხალია. პოეზიამ მხოლოდ დასტოვა მონასტრის მღვიმეები, გავიდა ხალხში და აჟღერდა აშუღის თავისუფალ ლექსებში. რომელთაც ბაზრებში, მოედნებზე, საოჯახო ზეიმ-მოლხენაზე და უბრალო ადამიანთა სახლებში მღეროდნენ.

რამდენადაც შეიძლება თვით საიათნოვას თხზულებათა მიხედვით ვიმსჯელოთ, მას საკმაოდ ფართო ცოდნა შეუძენია: მის ლექსებში აღძრულია საკმაოდ რთული საკითხები, ნახსენებია სხვადასხვა ქვეყნები და ხალხები, იგრძნობა გამოძახილი სპარსული პოეზიისა, რომლისგანაც საიათნოვამ, სხვათაშორის, თავის სიმღერა-ლექსების ფორმა ისესხა. გარდა ამისა, საიათნოვამ მრავალი ენა იცოდა; ლექსებს სწერდა არა მარტო სომხურად, არამედ ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე. ქართველები მას თავის პოეტად სთვლიან.

მგოსნის ნამდვილი სახელი არუთინაა. საიათნოვა კი—ფსევდონიმია, რაც, თანახმად იოჰანეზ თუმანიანის გამოკვლევისა, ნიშნავს ჰანგთა მეფეს, ანუ მუსიკის მეუფეს (ინდუსტანის ენაზე, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაში).

საიათნოვას ლექსების შინაარსი,—ერთი შეხედვით, ერთფეროვანია. ერთფეროვნად გვეჩვენება მისი ლექსების ფორმაც, მაგრამ რა დაუშრეტელი მრავალფეროვნების მოთავსება შეუძლია პოეტმა ამ მოჩვენებითს მონოტონობაში. ის თითქმის ყველგან ლაპარაკობს სიყვარულზე, მაგრამ რამდენად მრავალფეროვანია ამ სიყვარულის ნიუანსები მის სხვადასხვა ლექსებში, რა მრავალფეროვანია ყველა მისი გადასვლა მშვიდი სინაზიდან ცეცხლოვან ვნებაზე, სასოწარკვეთილებიდან — აღფრთოვანებაზე, თავის თავში დაეჭვებიდან—მხატვრის ამაყ თვითშეგნებაზე. ჭეშმარიტად, საიათნოვას შეიძლება ვუწოდოთ „ნაჩრდილთა პოეტი". მან მე-18 საუკუნეში თითქოს უკვე შეასრულა აღთქმა, რომელიც 100 წლის მოგვიანებით მოგვცა ვერლენმა: Pas la couleur, rien la nuance!

დიახ! ზედმეტია მკვეთრი ფერადები! ჭეშმარიტ პოეტს შეუძლია განაცდევინოს მკითხველს ან მსმენელს ყველაფერი ერთი ფერიდან მეორე ფერზე მხოლოდ ძლივს შესამჩნევი გადასვლით, ერთი ფერის მეორეთი შეუმჩნეველი შენაცვლებით. მაგრამ ამავე დროს რა მახვილნი, ღრმა და ძლიერნი არიან საიათნოვას ლექსებში ეს „ნაჩრდილნი", ეს ნიუანსები! ჩვენ მათ ვითვისებთ როგორც მკაფიო ფერებს, რომლებსაც ვერ შეედრებიან ვერავითარი საღებავები ნაკლებ იღბლიანი (ვიტყვით პირდაპირ: ნაკლებ გენიალური) პოეტებისა, რომლებიც მეტად მუქ საღებავებს ხმარობენ. ნატიფი და ნაზი ფუნჯით ხატავდა საიათნოვა და მით უფრო მეტი მომხიბვლელობაა მის მომჯადოებელ ლექსებში.

საიათნოვამ დაამკვიდრა, აკურთხა აშუღური ლექსის თავისებური ფორმა, რომელიც სპარსულ „გაზელს" უახლოვდება. მის შემდეგ ეს ფორმა საყვარელ და გაბატონებულ ფორმად იქცა ყველა მგოსან-მომღერლის შემოქმედებაში. ერთი და იმავე სიტყვის (ანუ რამდენიმე ერთნაირი სიტყვის) განმეორება მთელი რიგი ლექსების ბოლოში, რასაც ეს ფორმა მოითხოვს, აიძულებს მგოსანს ეძებოს **მრავალგვარობა ერთგვარობაში,** მაგრამ ამავე დროს ეს ფორმა, თითქმის დამოუკიდებლად პოეტისაგან, თავისებურ ბგერადობას, ღრმავებულ ჟღერადობას აძლევს მის ლექსებს. საიათნოვა ამას უერთებს სათუთ ზრუნვას ლექსის ბგერითი თვისების გაძლიერებისათვის. საიათნოვას ლექს-სიმღერები სავსეა ასონანსებით, ალიტერაციებით, განმეორებითი და შინაგანი რითმებით: ის „ბგერწერის" ერთი იმ უმაღლეს ოსტატთაგანია, როგორიც კი მსოფლიოს პოეზიამ იცის. ამასთან ერთად ის საუცხოო ევრიტმისტია. რომელსაც შესწევს უნარი მონახოს ჰანგის სიახლე საყოველთაოდ გავრცელებულ მეტრში... საიათნოვას მიმდევართა და მიმბაძველთა შემოქმედებაში მისი პოეზიის მრავალი თავისებურება პირობითობად იქცა: დახვეწილი ფორმა დაყვანილ იქნა გაცვეთილ განმეორებამდე, ბგერადობა—ბგერების უბრალო თამაშამდე, ნაჩრდილების შეუმჩნეველი შენაცვლება — შინაარსის მოსაწყენ მონოტონობამდე. მაგრამ თვით საიათნოვას შემოქმედებაში ყველაფერი გაცოცხლებული და გასულიერებულია ნამდვილი პოეტური მადლით. პოეტი მართალი იყო, როცა ამაყად განაცხადა (ეს ის სიამაყეა, რომელმაც შექმნა ჰორაციუსის და პუშკინის „ძეგლი"): „მე ის საიათნოვა არა ვარ, რომ ქვიშას დავეფუძნოო", ან „კლდეა ჩემი საფუძველი, ქვიშა არ გეგონოთ!" გვინდა ვირწმუნოთ, რომ არც საიათნოვას „ძეგლისკენ მიმავალი სახალხო ბილიკი დაიფარება ბალახით". ისეთი პოეტებით, როგორიც არის საიათნოვა, უნდა ამაყობდეს მთელი ხალხი. ეს ზეცის დიდებული წყალობაა, რომელიც ხშირად და ყველას როდი ეგზავნება. ეს განგებისაგან რჩეულია, რომელიც თავისი მადლით აღბეჭდავს თავის საუკუნეს და თავის სამშობლოს.

*) ამოღებულია ვ. ბრიუსოვის რედაქციით გამოცემულ ანთოლოგიიდან „სომხური პოეზია", 1916 წელს.



საიათ-ნოვა. ნახატი ირ. გეანერ-გიგოლაშვილისა.

საიათ-ნოვა

## ერთი რამ მაქვს სათხოვარი

ერთი რამ მაქვს სათხოვარი, მომისმინე თვალისჩინო,
ნახვა მინდა, მო, ცრემლები მომიწმინდე, თვალისჩინო
რა მიქნია, რომ მიწყრები? გამიცინე, თვალისჩინო,
ყველა გაძლა სიყვარულით, მე ვეწამე, თვალისჩინო!

არვის არვინ ჰყვარებია? ეს რა მიყავ, ეს რა არის?
შენის ეშხით აბნეული მე დავდივარ როგორც მთვრალი,
ჩემი დარდის ერთ მისხალსაც ვერ გაუძლებს კაცი, ქალი,
გული მწარედ დამეთუთქა ეშხის ცეცხლზე, თვალისჩინო!

მეგობრები მტრად მიქციე, სხვასთან როგორ არ გავხუნდე?
განვლილ დღეებს ველარ ვხედავ, თუმცა მინდა დავუბრუნდე,
ღმერთსა ვფიცავ, ძნელი არის, მითხარ როგორ არ დავღონდე?
მე პატარა ნავსა ვგევარ, შენ ეშხის ზღვას, თვალისჩინო!

მსურს, რომ გავხსნა ენა-პირი შენს საქებრად, სადიდებლად,
ათი წელი შენ დაგეძებ ფადიშაჰის ელჩის მსგავსად,
შვიდი წელი კიდევ ვივლი ვით ყარიბი შენს საძებრად,
შენ ხარ ჩემი შაჰსანამი, სხვა ვიღა მყავს თვალისჩინო?

თუ გინდ მქონდეს ზღვა-დარდები, მე არაფერს არ ვინაღვლი,
მზეთა-მზეთაც შენა მყევხარ, სხვისთვის ცრემლებს რისთვის დავღვრი?
საიათ-ნოვამ დაიმღერა: მე იმ სიკვდილს არად ჩავთვლი, —
მკვდარი ვიყო, თმა-გაშლილი დამტიროდე, თვალისჩინო!

სომხურიდან სთარგმნა სურენ ავჩიანმა

ს. ავჩიანი

## დიდი აშუღი-მგოსანი

თითქმის ორი საუკუნეა, რაც განუწყვეტლივ ჟღერს საიათ-ნოვას სიმღერები სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე

საიათ-ნოვამ ამ სიმღერებით გაითქვა სახელი და სამართლიანად დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა ამიერ-კავკასიის ხალხთა, რომელთა წიაღიდანაც თვით მგოსანი იყო გამოსული. იგი მთელი თავისი სულიერი ფესვებით უშუალოდ დაკავშირებული იყო იმ ხალხთან, რომელთა მსახურს, ნოქარს უწოდებდა თავის თავს.

მრავალფეროვანია საიათ-ნოვას პოეზია.

მის ზოგიერთ მკვლევარს და კრიტიკოსს ჰგონია, რომ საიათ-ნოვა მხოლოდ და მხოლოდ ვარდისა და ბულბულის პოეტია.

რა თქმა უნდა, ეს აბსოლუტურად მცდარი აზრია. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ის იქნებოდა ძველი აღმოსავლეთის იმ უამრავ მგოსნის განმეორება და გადამღერება, რომლებიც საუკუნეების მანძილზე განუწყვეტლივ აღმოსავლეთის ეგზოტიკურ ამბებზე მღეროდნენ, ვარდის ბუჩქსა და ბულბულის სტვენას არ სცილდებოდნენ. მართალია მის ლექსებში ჩვენ ვხვდებით ვარდსაც და ბულბულსაც, მაგრამ სულ სხვაგვარად, ახალი ჰანგებით, ახალი გააზრებით და თავისებურობით. ვინც კი გაეცნობა საიათ-ნოვას ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ლექსებს, ის აშკარად დაინახავს, თუ რამდენად ვრცელია მგოსნის შემოქმედებითი ჰორიზონტი, რამდენად ფართოა მისი ხმის დიაპაზონი და მრავალფეროვანი მისი პოეზიის თემატიკა.

საიათ-ნოვა წმინდა ხმის ლირიკოსია, ინტიმური გრძნობების ნაზი გამომხატველია, მაგრამ, ამასთან, იგი თავის ქამანჩას ხშირად აჟღერებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე, თავის თანამედროვე ცხოვრების მტკივნეულ საკითხებზე, მიმართავს რა ჰიუმორს და ზოგჯერ დიდაქტიკასაც. იგი ჭეშმარიტი პოეტი შემოქმედია მდიდარი ფანტაზიით, ნამდვილი იმპროვიზატორია, რომელსაც შესწევს ნიჭი შექმნას წარმტაცი სუჟეტური ლექსები და სიმღერები. საიათ-ნოვა კარგად იცნობდა არა მარტო თავის თანადროულ სომხურ და ქართულ ლიტერატურას, არამედ აღმოსავლეთის პოეზიასა და მწერლობასაც. მისი ლექსები არაჩვეულებრივ ვერსიფიკაციული ტექნიკით არის შესრულებული. საიათ-ნოვას ლექსები გვხიბლავენ მდიდარი რითმებით, ალიტერაციებით და მუსიკალური ჟღერადობით. ამიტომ არის, რომ მისი ლექსები ადვილად გადადის ნოტებზე და ადვილად ემღერება.

საოცრად მრავალფეროვანია საიათ-ნოვას მეტაფორა, მეტად თავისებურია მისი სომხური ლექსების ენაც. საიათ-ნოვამ პირველმა გაბედა სომხურ ლიტერატურაში გამეფებული ძველი საეკლესიო ენის უგულებელყოფა და წერა დაიწყო ახალ ხალხურ-სომხურ ენაზე, რომელიც უახლოვდება მაშინდელ თბილისურ სომხურ დიალექტს, მაგრამ იგი ლიტერატურული ენის სიმაღლემდე არის აყვანილი და გამდიდრებულია მრავალი ქართული და სპარსული სიტყვით.

ხალხს ჩინებულად ესმოდა საიათ-ნოვას ენა, სწავლობდა მას და ამით ხელს უწყობდა იმ სომხურ ლიტერატურული ენის წარმოშობას, რომლის მამამთავრად ხაჩატურ აბოვიანი ითვლება. პოეტი არასოდეს არ ვარდება გადაჭარბებული ეროტიზმის ტყვეობაში; კონკრეტულ სახეებში გამოხატული ტრფიალება მგოსნისა ყოველთვის ფაქიზი, ნაზი, მოკრძალებული და ნამდვილი ადამიანური ემოციების აღმძვრელია. საიათ-ნოვა თავის ლექსებში მუდამ ოპტიმისტი. მუდამ სიცოცხლის მოყვარული, მუდამ ჰუმანიური აზრებით გამსჭვალული მომღერალია. მას უყვარდა არა მარტო თავისი ერი, არამედ კავკასიის ყველა ერი, მათ შორის, უპირატესად, ქართველები და საქართველო. ის თავის ჭიანურს აჟღერებდა დიდი ქართველი ადამიანისა და მოღვაწის ერეკლე მეორის სასახლის კარზე, ის იყო მისი ჭირვარამის მოზიარე და თანამგრძნობი.

ბოროტმა საჭურისმა აღა-მაჰმად-ხანმა დაანგრია საქართველოს დედაქალაქი თბილისი, ვერაგულად მოჰკლა გენიალური მგოსანი, სიყვარულის მქადაგებელი საიათ-ნოვა, მაგრამ მან ვერ მოსპო ვერც ერთი და ვერც მეორე.

განახლდა და აღორძინდა საქართველოს თაიგული—თბილისი, აღსდგნენ წარსულ საუკუნეთა ღვაწლმოსილი ადამიანები, მათ შორის აღსდგა და ახლებურად აჟღერდა საიათ-ნოვაც. აყვავებულ საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირში 150 წლის შემდეგ კვლავ გაისმის საიათ-ნოვას სახელი, როგორც ინტერნაციონალურ-მომღერლისა, პოეტ-მოქალაქისა და ნამდვილი შემოქმედისა.

## რა დაწერილა საიათ-ნოვაზე

შესანიშნავი ხალხური მგოსნის და აშუღის საიათ-ნოვას შესახებ ამჟამად საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს.

პირველი ცნობები საიათ-ნოვაზე მოთავსებულია იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში", სადაც მოხსენებულია „საათლამა, სპარსთა ხმებით ქართული ლექსების გამომთქმელი". იქვე მოთავსებულია იოანე ხელაშვილის დიალოგი ახპატის მონასტერში ბერად შემდგარ „საათლამასთან".

საიათ-ნოვასადმი რამდენიმე სიტყვა აქვს მიძღვნილი პ. იოსელიანს თავის მონოგრაფიაში „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა".

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ინტერესი საიათ-ნოვას შემოქმედებისადმი განსაკუთრებით გაძლიერდა; ცნობილმა პოეტმა იაკობ პოლონსკიმ 1851 წლის გაზ. „კავკაზის" პირველ და მეორე ნომერში ვრცელი წერილები მოათავსა საიათ-ნოვას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. 1852 წელს მოსკოვში დაიბეჭდა გ. ახვერდიანცის 172 გვერდიანი გამოკვლევა „საიათ-ნოვა", აშუღის 36 ლექსითა და ქართული მინაწერების დართვით. ამ წიგნში მოცემულია პირველი ცდა — საიათ-ნოვას ბიოგრაფიისა. 1869 წელს პროფ. დ. ჩუბინაშვილმა „ქართული ქრესტომატიის" მეორე გამოცემაში დაბეჭდა „საათლამას ნათქვამი" ორი ლექსი 70-იან და 80-იან წლებში თავიანთ გამოკვლევებში საიათ-ნოვას ეხებოდნენ ისტორიკოსები: პოტო, დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი. 1870 წელს მესაზანდრე აშუღმა გ. სკანდარნოვამ აშუღური ლექსების კრებულში „სალხინო საზანდარში" შეიტანა საიათ-ნოვას ხუთი ლექსი: შემდეგ გამოცემებში მან საიათ-ნოვას ლექსების რიცხვი რვამდე აიყვანა. 1877 წელს ილია ჭავჭავაძის „ივერიამ" (№ № 119 და 120) დაბეჭდა საიათ-ნოვას სამი ლექსი, ხოლო 1878 წელს გაზ. „დროებამ" მოათავსა ზ. მთაწმინდელის (ზ. ჭიჭინაძის) წერილი „საათნავა და მისი თანამედროვე მელექსეები". 1870 წელს პეტერბურგში მ. სანასარიანცის რედაქციით გამოცემულ კრებულში „სომეხთა ლირაში" დაბეჭდილია საიათ-ნოვას ხუთი სომხური ლექსი. 1885 წელს სომხურ ჟურნალ „არძაგანქის" პირველ ნომერში გ. ტერ-ალექსანდრიანმა გამოაქვეყნა საით-ნოვას ორი ახლადნაპოვნი სომხური ლექსი კომენტარიებით. 1903 წელს თბილისის სომეხთა საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო „აზგაგრაკანჰანდეს" მეათე წიგნში დაიბეჭდა გ. ასატურის წერილი სათაურით „საიათ-ნოვას უცნობ სიმღერათაგან", სადაც მოყვანილია საიათ-ნოვას ახლადნაპოვნი რვა სომხური ლექსი და ერთი ქართული ლექსი „ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი". (ეს უკანასკნელი გ. ასატურისაგან დამოუკიდებლად აღმოაჩინა ი. გრიშაშვილმა პეტერბურგს მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმის ხელთნაწერებში). 1903 წელსვე ეჩმიაძინში ი. მანანდიანისა და რ. აჭარიანის მიერ სომხურად გამოცემულ კრებულში „სომეხთა ახალი მოწამენი" დაბეჭდილია საიათ-ნოვას ბიოგრაფია სათაურით „აშუღი არუთინ ტფილისელი (საიათ-ნოვა)". საიათ-ნოვას ბიოგრაფიასა და შემოქმედებას მოკლედ ეხება პროფ. ალ. ხახანაშვილი 1904 წელს გამოცემულ თავის „ქართული სიტყვიერების ისტორიაში".

დიდი ამაგი დასდო საიათ-ნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეს ცნობილმა პოეტმა ოჰანეს თუმანიანმა. რომლის თაოსნობით „სომეხ მწერალთა კავკასიის საზოგადოებამ" ძეგლი აუგო უკვდავ აშუღს თბილისში (სუბ-გეორქის ეკლესიის გალავანში, თათრის მოედნის ახლოს) და იმავე წელს გამოსცა ხელმეორედ საიათ-ნოვას სომხური ლექსების კრებული; 1913 წელსვე ოჰ. თუმანიანმა გაზ. „ჰორიზონის" №№ 57 და 113-ში გამოაქვეყნა წერილები „ორი დიდებული ტფილისელი (საიათ-ნოვა და გ. სუნდუკიანცი)" და „საიათ-ნოვას სიმღერათა ბუნება". იმავე წლის დეკემბერში ზემოხსენებულ საზოგადოების სხდომაზე ოჰ. თუმანიანმა საიათ-ნოვას შესახებ გააკეთა ვრცელი მოხსენება, სადაც წამოაყენა სრულიად ახალი დებულებები, რომლებმაც მაშინვე და შემდეგ დიდი და ცხარე კამათი გამოიწვიეს.

1918 წელს ქართულ საიათნოვალოგიაში ახალი საფეხური იწყება. ამ წელს გამოქვეყნდა იოსებ გრიშაშვილის ცნობილი მონოგრაფია „საიათ-ნოვა". ეს შრომა ოთხი განყოფილებიდან შესდგება (1. საიათ-ნოვა და ძველი თბილისი, 2 საიათ-ნოვას ძეგლი და ქართული ავტოგრაფი, 3. საიათ-ნოვას 28 ლექსი, 4. ლექსიკონი). ამ წიგნმა, სადაც ძველი თბილისის ყოფაცხოვრების ფონზე მოცემულია საიათ-ნოვას ბიოგრაფია და მისი შემოქმედების დახასიათება, დიდად გააცხოველა ინტერესი ფართო მკითხველ მასებში მანამდე ნაკლებ ცნობილი აშუღ-მგოსნისადმი.

საბჭოთა პერიოდში უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა საიათ-ნოვას შესწავლის საქმე. განსაკუთრებით დიდძალი წერილები გამოქვეყნდა ერევნისა და თბილისის სომხურ პერიოდიკაში. ამ მიმართულებით მუშაობა გააცხოველეს ლიტერატურის ქართველმა მკვლევარებმა.

საიათ-ნოვას ცხოვრებასა და შემოქმედებას ვრცლად ეხება აკად. კ. კეკელიძე თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიის" მეორე წიგნში. ასევე ვრცლად იხილავს აშუღ-მგოსნის შემოქმედებას პროფ. ალ. ბარამიძე თავის წიგნში „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" (წიგნი მეორე, XV-XVIII საუკუნეები). 1930წელს პოეტმა გიორგი ლეონიძემ ცალკე წიგნად დაბეჭდა ბიოგრაფიული ესკიზი „მგოსანი საათნავა", სადაც ახლად-აღმოჩენილი მასალების საფუძველზე" გადასინჯული და უარყოფილია ბევრი რამ ისეთი, რაც მანამდე დადგენილად და ეჭვმიუტანლად მიაჩნდათ. ასევე საიათ-ნოვას ვინაობის აღდგენის რადიკალურ ცდას წარმოადგენს გამომცემლობა „ქართული წიგნის" მიერ 1930 წელს გამოცემული პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის ვრცელი კრიტიკულ-ბიოგრაფიული ეტიუდი „საიათ-ნოვა".

სომხური შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიტერატურათმცოდნის გ. ლეონიანის მონოგრაფია „საიათ-ნოვა" სადაც მოთავსებულია საიათ-ნოვას რამდენიმე ახლადაღმოჩენილი ლექსი და მოცემულია ცდა საიათ-ნოვას ბიოგრაფიის დაზუსტებისა ახლადაღმოჩენილ მასალის საფუძველზე.

თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით საიათ-ნოვა გახდა პოეტებისა და პროზაიკოსების შემოქმედების თემად ქართველ მწერალთაგან პირველად საიათ-ნოვა თავის „ისნის ცისკარში" გამოიყვანა ვასილ ბარნოვმა. საიათ-ნოვას უძღვნეს ლექსები იოსებ გრიშაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, გალაქტიონ ტაბიძემ და სხვა ქართველმა პოეტებმა. მხატვარმა გიგო შარბაბჩიანმა საიათ-ნოვას ცხოვრება და მოღვაწეობა ასახა ოთხმოქმედებიან პიესა „ხალხის ნოქარში", რომელიც პირველად წარმოდგენილ იქნა თბილისში 1929 წლის 27 მარტს. ერთ-ერთ ეპიზოდურ პერსონაჟად საიათ-ნოვა გამოიყენა აგრეთვე ქართველმა დრამატურგმა ლ. გოთუამ თავის „ერეკლე მეორეში".

ასეთია მოკლედ საიათ-ნოვას შესახებ არსებული ლიტერატურის არასრული მიმოხილვა.

კორნელი კეკელიძე

საქ. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

## საიათ-ნოვა

ამ დღეებში ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკები ერთსულოვნად იგონებენ იმ მგოსანს, რომელიც ერთდაიმავე ჰანგებით, ერთდაიმავე ექსპრესიით უმღერდა სიყვარულს ქართულს, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ეს იყო გამოჩენილი თავის დროს აშუღი საიათ-ნოვა.

ეს სამი ერი არაერთხელ შეხვედრია ერთმანეთს ქართველი „მგოსნების", სომეხთა „ვიპასანების" და აზერბაიჯანელთა „ოზანების" რაპსოდიებში, ამ ერების წარსული კულტურა იმდენად დაახლოვებულია ერთმანეთთან, რომ მეცნიერებაში შესაძლებელი გახდარა ერთი „კავკასიური ტიპის" კულტურის შესახებ ლაპარაკი

ამ შეხვედრისა და კულტურული მახლობლობის კონკრეტულად, ხელშესახებად გამომხატველი შეიქმნა განსაკუთრებით საიათ-ნოვა. სომეხი წარმოშობით, ქართველი აღზრდითა და მოქალაქეობით, აზერბაიჯანელი აღმოსავლური ტრადიციებით, ის თავისთავს ერეკლე მეფის „საზანადრად" სთვლიდა, აზერბაიჯანულ ლექსებს სომხური ასოებით სწერდა. ხოლო სომხურს ქართულით; ახპატის მონასტრის კედლებში ჩამწყვდეული, ის აშუღურ სიმებს უბეში ინახავდა და ტრფობის მოტივებს დამღეროდა. ასეთი იყო ეს საინტერესო, არაჩვეულებრივი „კავკასიის აშუღი".

აშუღი ეწოდებოდა სახალხო მომღერალს, რომელიც აუცილებელი წევრი იყო ყოველგვარი სადღესასწაულო, სავაჭრო თუ სამხედრო შეკრებისა, რომელიც გადადიოდა ერთი კუთხიდან, ერთი ქალაქიდან მეორეში, მუსიკალურ ინსტრუმენტზე ამღერებდა სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებს და ხშირად მეფე-ფეოდალთა სასახლეებში გამოდიოდა როგორც პანეგირიკოსი. ტერმინი — აშუღი — წარმოშობით უკავშირდება არაბულ „აშიკს", რაც მოტრფიალეს, შეყვარებულს, მიჯნურს (ესეც არაბულია) ნიშნავს.

აშუღური პოეზია არის მსუბუქი, გასართობი სატრფიალო პოეზია, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყველა ქვეყანაში. არსებობდა ის, ეჭვი არაა, თავიდანვე საქართველოშიც; რუსთაველიც ხომ ადასტურებს „სანადიმო, სამღერელი, საამიკო და სალაღობო ლექსის" არსებობას ჩვენში! მეჩვიდმეტე საუკუნიდან, როდესაც მაჰმადიანურმა გავლენამ მძლავრად იჩინა თავი ჩვენში, აღმოსავლური ელფერი პოეზიის ამ დარგსაც დაეტყო. „კალმასობაში" იოანე ამბობს: „ოდეს როსტომ მეფემ (1634-1658) მიიღო ქართლი, ამას დასდო სრულად სპარსთ კანონი და წესნი... და ამასთან საკრავნიცა შემოიღო და სიმღერაცა მათისავე ენითა და გაამრავლა საქართველოსა შინა". ამ დროიდან, ალბათ, აშუღურ პოეზიას ჩვენში „სპარსთა ხმით სიმღერა" დაერქვა.

ამ „სიმღერის" ტრადიცია თანდათან ძლიერდებოდა ჩვენში, ირაკლის დროს მასში გარდატეხა მოხდა: სპარსულ ხმაზე, სპარსულის მაგიერ, ქართული ლექსების სიმღერა დაუწყიათ. ამ საქმის დამწყები საიათ-ნოვა ყოფილა. „მე ვიცოდი ჩონგური კარგად", — ამბობს ის „კალმასობაში", — და ამასთან სპარსულ ხმებზედ გავაკეთე ქართული ლექსები. ჯერ არ იყო შემოღებული და, როდესაც მეფემან ირაკლი ინება მეჯლიში და მიგვიყვანეს მოსაკრავენი, მაშინ მე სპარსულის ხმით ქართულად ვიმღერე. ბატონს დიდად იამა და ხალათიც მიბოძა. და მერეთ სხვათაც მრავალთა თქუეს და მომბაძეს".

საიათ-ნოვა პირველი რანგის აშუღი იყო: საუცხოო დამკვრელი, ტკბილად მომღერალი და ლექსთა ნაყოფიერი გამომთქმელი, მისი სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის სხვის ლექსებს კი არ ამღერებდა, არამედ თავის საკუთარს. ის სამს ენაზე მღეროდა: ქართულზე, სომხურზე და აზერბაიჯანულზე. დღეს გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს მისი აშუღურ-პოეტური შემოქმედების შესასწავლად: ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების მეცნიერები და მწერლები ერთიმეორეს ეჯიბრებიან მისი ლექსების შეკრება-გამოცემასა, გადათარგმნასა და გააზრებაში. აზერბაიჯანულად დარჩენილია 115 ლექსი საიათ-ნოვასი, სომხურად 60, ქართულად კი, ავტორის საკუთარი სახელით და სტეფანე მკერვალის თუ მაჯნუნის ფსევდონიმით ორმოცამდე.

უდიდესი ნაწილი საიათ-ნოვას ქართული ლექსებისა სატრფიალო სამიჯნუროა. ეს ლექსები ამოგლეჯილია მისი გულიდან, არა მარტო აშუღის ოფიციალური მოვალეობით და დანიშნულებით, არამედ ნამდვილი განცდითა და გრძნობით: ცნობილია საიათ-ნოვას რომანტიული თავგადასავალი, როგორც ცოლის შერთვამდე, ისე დაქვრივების შემდეგაც. არ არის მოკლებული მისი პოეზია არც სამოქალაქო მოტივებს, რამდენადაც ის თავისთავს გრძნობს საქართველოს მოქალაქედ და „ყმად" ირაკლისა და გიორგისა, განსაკუთრებით პირველისა.

საიათ-ნოვას განათლება, მისივე სიტყვით, „ანა-ბანას" ცოდნას არ გასცილებია. ამან, რასაკვირველია, დაღი დაასვა მის ლექსებსაც.

მიუხედავად ამისა, საიათ-ნოვას შემოქმედებას თავის დროისათვის უდავო მნიშვნელობა ჰქონდა:

1. ის იყო, როგორც ვთქვით, პირველი რანგის აშუღი, რომელმაც ეს დარგი პოეზიისა მაღალ საფეხურზე აიყვანა ჩვენში. მისი ჰანგები, მისი ეპიგონების სიმღერაში, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშიაც კი ისმის და ერთგვარ გავლენას ახდენს ისეთ პოეტებზედაც კი, როგორიც არიან ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი.

2. მან პოეზია ჩამოიყვანა საშუალო მოქალაქეთა და ღარიბ ხელოსანთა წრემდე და თავისებური დემოკრატიული სული შთაბერა მას.

3. ის, როგორც შეგნებული და აღზნებული პატრიოტი საქართველოსი, თავდადებული „მონა" ერეკლესი და გიორგისა, ჯანსაღ მამულიშვილურ გრძნობებს აღვივებდა იმდროინდელ საზოგადოებაში. მისი პატრიოტული სულისკვეთება და სიძულვილი სისხლისმსვრელი დამპყრობლებისადმი ლამაზი ლეგენდით შეუმოსია მომდევნო თაობას, რომელსაც, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევასთან დაკავშირებით, სამშობლოსათვის წამებულის გვირგვინი დაუდგამს მისთვის თავზე.

4. როგორც მომღერალი ქართველების, სომხების და აზერბაიჯანელების ენებზე, როგორც თანაბრად მოყვარული ამ ენებისა, ის ჩვენ გვევლინება, როგორც საერთაშორისო, ამიერკავკასიის მასშტაბით, პოეტი, ის თავისი ცხოვრებით და საქმით ეხმაურება ჩვენს ეპოქას, დიდი **სტალინის** ხალხთა მეგობრობისა და პოლიტიკურ-კულტურული სოლიდარობის მოძღვრებას. ამაშია მისი მოღვაწეობის, მისი შემოქმედების პროგრესიულობა, რომელიც გამოძახილს პოულობს დღეს საბჭოთა კავშირის ხალხთა დემოკრატიულ იდეებსა და მისწრაფებაში.

# ერეკლეს კარის თეატრი

ქართული თეატრის ისტორია ჯერ კიდევ დაუწერელია, მისი სათავეები—შეუსწავლელი. ქართულ თეატრს შორეული წარსული აქვს. იგი თავის საწყისს იღებს ტრადიციული რიტუალებიდან და ხალხურ გასართობებიდან, რომელთა დათარიღებაც შეუძლებელია. ხალხური მასობრივ-კოლექტიური გასართობები, რაც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, არ ატარებდნენ ვიწრო სანახაობით ხასიათს. თავისი შინაარსით ისინი ხშირად უაღრესად კონკრეტული იყვნენ. ასახავდნენ ხალხის ყოფა-ცხოვრებით მოვლენებს და იძლეოდნენ მორალურ და სოციალურ სიმახინჯეთა მკაცრ კრიტიკას. მდაბიო, მშრომელი მასა იყო შემოქმედი ამ „გასართობებისა“. ამიტომ ისინი თავიანთი ფორმითა და შინაარსით უაღრესად ხალხური და უტილიტარული იყვნენ.

ქართველი ხალხის მიერ საუკუნეებით შემუშავებულ ამ მოქალაქეობრივ ტრადიციებზე იყო დაფუძნებული მე-18 საუკუნის ის თეატრიც, რომელიც შექმნა გიორგი ავალიშვილმა ერეკლე მეორის კარზე; ეს იყო თავის დროზე უაღრესად დიდი ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური მოვლენა.

გიორგი ივანეს-ძე ავალიშვილის წინაპრები და უახლოესი ნათესავები ძალიან დაახლოებული ყოფილან მეფის კართან. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში და მეფის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდნენ. თვით გ. ავალიშვილი თავისი ეპოქის მოწინავე პროგრესული პიროვნება იყო. იგი კარგად არის ცნობილი, როგორც ფართო დიაპაზონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში. მაგრამ, ამავე დროს, გ. ავალიშვილი არის ქართული თეატრის დამაარსებელი მე-18 საუკუნის მიწურულში, ამ თეატრის პრაქტიკული ხელმძღვანელი და დრამატურგი. ჯერ კიდევ არ ვიცით გადაჭრით—არსებობდა თუ არა გ. ავალიშვილამდე „პროფესიული“ ხასიათის თეატრი. შეიძლება ადრეც არსებობდნენ დრამატიული დასები, რომელთა კვალსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ავალიშვილის თეატრი მაინც თავის დროზე განსაკუთრებული მოვლენა იყო. ის იმდენად ძლიერი იყო ყველა თავისი კომპონენტით, რომ მისი გავლენა იგრძნობოდა ნახევარი საუკუნის შემდეგაც.

* * *

გ. ავალიშვილმა დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. ახალგაზრდობის წლებს კი ეკატერინე მე-2-ის დროის რუსეთში გაატარა. ამ დროს იქ გავრცელებული იყო ევროპიდან შემოჭრილი პროგრესული იდეები. მოწინავე საზოგადოება გატაცებული იყო ვოლტერის შეხედულებებით. საშინელმა ბატონყმურმა და თვითმპყრობელურმა რეჟიმმა გამოიწვია კრიტიკულად მოაზროვნე თაობის წარმოშობაც, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და იწყებდა ბრძოლას უკუღმართი სოციალურ-პოლიტიკური საწყისების წინააღმდეგ.

ასეთ საზოგადოებრივ ვითარებაში გ. ავალიშვილი ღრმად დაეუფლა პროგრესულ იდეებს, შეითვისა კრიტიკული თვალსაზრისი და მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, სხვა ამხანაგებთან ერთად, სამშობლოში დაბრუნდა სავსებით მომწიფებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის.

რუსეთის იმდროინდელმა პროგრესულმა აზროვნებამ და დიდმა კულტურულმა მოძრაობამ გადატრიალება მოახდინეს ახალგაზრდა ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. რუსეთიდან ახლადდაბრუნებულს დიდად იტაცებდა საქართველოს საერთო პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად ხელი მოჰკიდა ლიტერატურულ და თეატრალურ მოღვაწეობას, შექმნა დრამატიული დასი, რომლის სცენაც მას გადაქცეული ჰქონდა თავისუფალ შეხედულებათა ტრიბუნად.

ქართული თეატრის შექმნას გ. ავალიშვილი უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა, დასში თავი მოუყარა მოწინავე ადამიანებს, რომლებიც იზიარებდნენ მის შეხედულებებს, შეიმუშავა თეატრის თეორიული პრინციპები და შექმნა ცოტად თუ ბევრად მტკიცე რეპერტუარი. გ. ავალიშვილის ინიციატივას ერეკლე II აღფრთოვანებით შეხვდა. დასის წარმოდგენები იმართებოდა მეფის სასახლეში—თბილისსა და თელავში. მეფის ასეთმა ხელშეწყობამ დიდად გაზარდა დასის ავტორიტეტი. დროდადრო მას თავიანთი სახლების დარბაზებს უთმობდნენ იმდროინდელი წარჩინებული პირებიც.

პროფ. ალ. ხახანაშვილის ცნობით დასის პირველი წარმოდგენა შემდგარა 1791 წელს. დრამატიული დასი სდგამდა გ. ავალიშვილის საკუთარსა და გადმოკეთებულ პიესებს.

გ. ავალიშვილის თეატრი არ გამოირჩეოდა დიდი ორიგინალობით. უტრადიციო თეატრს არ შეეძლო უცბად გამოენახა საკუთარი გზა და მხატვრული პრინციპები. ის წარმოადგენდა იმდროინდელი რუსული თეატრის წაბაძვას, რუსეთში ნახულის განმეორებას. თეატრის სპექტაკლები პრიმიტიული იყო, ისინი არ გამოირჩეოდნენ არც რეჟისორული ორგანიზაციით, არც მხატვრულ კომპონენტთა მრავალფეროვნებით. თეატრს უფრო წმინდა პროპაგანდისტული მიზანი ჰქონდა. თვით გ. ავალიშვილი თეატრს არ უყურებდა, როგორც წმინდა ესთეტიკური ტკბობის და გართობის დაწესებულებას. იგი თეატრის წინაშე მოქალაქეობრივი მნიშვნელობის ამოცანებს აყენებდა,—თეატრს სთვლიდა მასების მორალური აღზრდისა და გონებრივი განვითარების დაწესებულებად. ამასთან გ. ავალიშვილი თეატრის წინაშე აყენებდა ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლის ამოცანასაც. იგი პირველი ქართველი თეატრალი იყო, რომელმაც სასცენო ხელოვნებას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვალეობა დააკისრა. მისი აზრით თეატრს ღრმად უნდა აესახა სინამდვილე, გამოემჟღავნებინა ცხოვრების სიმახინჯე და ებრძოლა მის აღმოფხვრისათვის.

უდავოა, გ. ავალიშვილის თეატრს არ შეეძლო თავისი იდეური პრინციპები და სააგიტაციო მუშაობა მისაწვდომი გაეხადა ფართო მასებისათვის. ის არსებითად მეფის კარის თეატრის სახეს ატარებდა, მისი წარმოდგენები ან მეფის სასახლეში, ან წარჩინებულ პირთა სახლის დარბაზებში იმართებოდა, სადაც მშრომელ მასებს დასწრების საშუალება არა ჰქონდათ. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იმ შეხედულებათა პროპაგანდა, რომელსაც თეატრი ეწეოდა, არ რჩებოდა ვიწრო ფარგლებში და აღწევდა ხალხის გარკვეულ ნაწილამდე დასის მონაწილეთა მეშვეობით, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ ხალხთან. უნდა ვიფიქროთ, რომ დასის მონაწილეები ხალხს ცალკეული შეხვედრის დროს, მოუყვებოდნენ ხოლმე ზეპირად დასწავლილ როლებს.

სწორედ ამით უნდა აიხსნას უმთავრესად ის გარემოება, რომ თეატრს პირველი წარმოდგენისთანავე მომხრეებთან ერთად მტრებიც გაუჩნდნენ, რომლებიც კარგად ხედავდნენ თუ რა გავლენას ახდენდა ის ადამიანებზე. რამდენადაც დაუნდობელი და პირდაპირი იყო თეატრის მიერ დაწყებული პროპაგანდა, იმდენად შეუპოვარი და მკაცრი იყო მოწინააღმდეგეთა გაბოროტება, თეატრმა სიცხოველე შეიტანა იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გამოიწვია საზოგადოებრივი აზროვნების გამოცოცხლება და მკაფიოდ დაუპირისპირა ერთიმეორეს ცოტად თუ ბევრად პროგრესიული და კონსერვატორი ელემენტები.

რა საკითხები წამოსჭრა თეატრმა თავისი დადგმებით? პირველ ყოვლისა მან სცადა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, ბრძოლა გამოუცხადა გადაგვარებულ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ ნაციონალურ ტანსაცმელს უცხოზე სცვლიდნენ. (პიესა „მეფე თეიმურაზი“). რამდენადაც პიესას ჩვენამდე არ მოუღწევია, ძნელია იმის მტკიცება, თუ როგორ იყო იქ გაშლილი და გადაწყვეტილი დასმული პრობლემები. მაგრამ თუ დავეყრდნობით ავტორის საერთო პროგრესულ შეხედულებებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ პიესა ჯანსაღ პატრიოტულ ხასიათს ატარებდა.

ორიგინალურ და გადმოკეთებულ პიესებში თეატრმა უმთავრესად სოციალური პრობლემები წამოაყენა. კერძოდ, პიესით „უზნობა მკვდართა“, თეატრმა და მისმა ხელმძღვანელმა გაკიცხეს ფეოდალური არისტოკრატიის ქედმაღლობა. იმ სცენაში, სადაც ეს საკითხია გაშუქებული, დაგმობილია ცრუ გვარიშვილობა და პირველ პლანზე დაყენებულია ადამიანი, თუ ადამიანი არ ვარგა გვარიშვილობაც არაფერს გამოადგებაო. იქვე გაკიცხულია ძუნწის არაადამიანური ცხოვრება. პიესაში ყურადღებას იქცევს განსაკუთრებით სოციალური უთანასწორობის პრობლემის გაშუქება. იქ ნათლად არის წარმოდგენილი კლასობრივი წინააღმდეგობანი ბატონსა და ყმას შორის, დაგმობილია ფეოდალის მხეცური ექსპლოატატორული ბუნება. ყმა ჰქმნის დოვლათს, ის დღედაღამე ხმის ამოუღებლად მუშაობს თავისი ბატონისათვის. ყმის შრომით ბატონი ფუფუნებაში ცხოვრობს, თვითონ ყმა შიმშილით იტანჯება და ხმის ამოღების უფლება არა აქვს. მაგრამ თუ ყმას ამქვეყნად უფლება არა აქვს ხმა გასცეს ბატონს და ცხოვრების ადამიანური პირობები მოითხოვოს, არსებობს საიქიო, სადაც ყველა ადამიანის უფლებები თანასწორია. ყმაც თავის ბატონს იქა სთხოვს პასუხს საქაო უსამართლობისათვის. მართალია, აქ საკითხი რელიგიურ ასპექტშია გადაჭრილი, მაგრამ საქმე ფორმაში როდია. საქმე ისაა, რომ ამ სახით თეატრმა ზედმიწევნით ზუსტად გამოხატა მშრომელი ხალხის იმდროინდელი სულიერი ტკივილები და ამ ტკივილებზე თავისი დროისათვის პროგრესული პასუხი გასცა.

ეს პრობლემები შემდეგში მე-19 საუკუნის თეატრის სცენიდან ერთი წუთითაც არ მოხსნილა. იქ უფრო ღრმა და ყოველმხრივი გაშუქება ჰპოვეს მათ.

ცხადია, ასეთი პრობლემების მხოლოდ დაყენებაც კი დიდად შეაშფოთებდა ფეოდალურ არისტოკრატიას და ის წინააღმდეგობანი, რომელიც თეატრის დაარსებასთან ერთად წარმოიშვა, სავსებით ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად, გ. ავალიშვილის თეატრის არსებობას დიდი ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მას თვალსაჩინო როლის შესრულება შეეძლო ქართველი ხალხის სულიერ კულტურის განვითარების ისტორიაში, რომ დასცლოდა არსებობა და ირანელების მიერ თბილისის აოხრებასთან ერთად ისიც არ დაშლილიყო საბოლოოდ 150 წლის წინ.

ამ თეატრის მრავალი მონაწილე გმირულად დაეცა კრწანისის ველზე სამშობლოსა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

**ერ. ასტვაცატუროვი**

## კრწანისის ბრძოლის მონაწილე მსახიობთა და მოღვაწეთა დაღუპვის 150 წლისთავი

კრწანისის ბრძოლებში გმირულად დაღუპულ მე-18 საუკუნის ქართული თეატრის მსახიობთა და მოღვაწეთა ხსოვნის აღსანიშნავად, მათი დაღუპვიდან 150 წლის შესრულების გამო, სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი 1 ოქტომბერს გამართავს საღამოს. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა. მოხსენებებს წაიკითხავენ: დოც. დ. ჯანელიძე—„სახიობა მე-18 საუკუნეში“; მუზეუმის სწავლული მდივანი ს. გერსამია—„გაბრიელ მაიორის სასკოლო დრამა და გიორგი ავალიშვილის კლასიკური თეატრი“, დოც. სოლომონ იორდანიშვილი — „თეიმურაზ ბატონიშვილის ახლადაღმოჩენილი დრამა“, დოც. ამბერკი გაჩეჩილაძე—„თელავში ახლადაღმოჩენილი ცნობები მე-18 საუკუნის ქართული თეატრის შესახებ“.

## ს. შერვინსკის მიერ თარგმნილი ნ. ბარათაშვილის ლექსები

პოეტმა ს. შერვინსკიმ რომელიც საგანგებოდ იყო მოწვეული ნ. ბარათაშვილის ლექსების სრული კრებულის გადასათარგმნად, უკვე დაამთავრა მუშაობა. 24 სექტემბერს მწერალთა კლუბში ს. შერვინსკიმ წაიკითხა მის მიერ თარგმნილი „ბედი ქართლისა“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „მერანი“ და ნ. ბარათაშვილის რამდენიმე სატრფიალო ლექსი.

ს. შერვინსკის თარგმნების გამო თავიანთი შთაბეჭდილებანი გამოსთქვეს რ. ივნევმა, დ. არსენიშვილმა, ალ. აბაშელმა, კონსტ ანდრონიკაშვილმა, ს. აბულაძემ, ვ. წულუკიძემ, ი. ვართაგავამ, დ. შერმანმა, რომლებმაც ძირითადში მოიწონეს შერვინსკის ნამუშევარი, განსაკუთრებით „ბედი ქართლისა“-ს თარგმანი. შედარებით ნაკლებ შეესიტყვება დედანს „შემოღამება მთაწმინდაზე“, „მერანი“ და „ფიქრი მტკვრის პირას“, რომელთა რუსულ თარგმანში მონახული არ არის შესაფერი რიტმიული ბგერადობა და ინტონაცია.

სხვა მხრივ შერვინსკის თარგმანი, როგორც ეს თავის დასკვნით სიტყვაში აღნიშნა მთარგმნელთა სექციის თავმჯდომარემ კონსტ. ჭიჭინაძემ, ბევრად მაღლა სდგას ნ. ბარათაშვილის ლექსების დღემდე გამოქვეყნებულ რუსულ თარგმნებზე.

# საიათ-ნოვას საიუბილეო დღეები

## საქართველო

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა მეთვრამეტე საუკუნის პოეტ-აშუღ ის საიათ-ნოვას გარდაცვალებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავად გამოჰყო კომისია ი. გრიშაშვილის (თავმჯდომარე), ლ. მელიქსედ-ბეგის, ალ. ბარამიძის, გ. ლეონიძის, რ. გვეტაძის, ი. აბულაძის და ს. ავჩიანის შემადგენლობით.

* * *

ორშაბათს, 1 ოქტომბერს, მწერალთა სასახლეში ეწყობა საიათნოვას შემოქმედებისადმი მიძღვნილი დიდი საღამო. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის პოეტი ი. გრიშაშვილი. მოხსენებას საიათ-ნოვას შემოქმედების შესახებ გააკეთებს პროფ. ალ. ბარამიძე, სიტყვებით გამოვლენ კორნელი კეკელიძე, გიორგი ლეონიძე, ლეონ მელიქსედ-ბეგი. პოეტ-აშუღისადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ ალ. აბაშელი, რ. გვეტაძე და ს. ფაშალიშვილი.

მეორე, მხატვრულ განყოფილებაში საიათ-ნოვას ლექსებს წაიკითხავენ თ. ჭავჭავაძე, აკ. ვასაძე, ს. ზაქარიაძე, ვ. გოძიაშვილი, მ. ჩახავა, ნ. იასაღაშვილი და სხვ. ადგილებს ლ. გოთუას პიესიდან „ერეკლე მეფე“ წაიკითხავენ გ. შავგულიძე და ა. გომელაური.

საღამოს მხატვრულ პროგრამას უხელმძღვანელებს ნატო ვაჩნაძე.

* * *

ამავე დღეს, დილის 12 საათზე საიათ-ნოვას საფლავზე მოეწყობა მიტინგი, ქართველი მწერლები ყვავილებით შეამკობენ პოეტის საფლავს.

* * *

იუბილესთან დაკავშირებით გამოცემულ იქნება საიათ-ნოვას ქართული ლექსების კრებული.

* * *

24 სექტემბერს თბილისიდან ერევანში გაემგზავრა ქართველ მწერალთა და მეცნიერთა დელეგაცია ი. გრიშაშვილის, ალ. ბარამიძის და ლ. მელიქსედ-ბეგის შემადგენლობით იუბილეში მონაწილეობის მისაღებად.

## სომხეთი

საიათ-ნოვას 150 წლისთავის იუბილეს საბჭოთა სომხეთი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა.

საიუბილეო დღეები ერევანში სექტემბრის პირველ რიცხვებიდან დაიწყო. ერევნის მწერალთა სახლში წაკითხულ იქნა რამდენიმე მოხსენება, მათ შორის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის პროფ. გ. აბოვისა საიათ-ნოვას შემოქმედებაზე და კომპოზიტორ მუშეღ აღაიანისა თემაზე—„საიათნოვა, როგორც მუსიკოსი“. ერევნის ფილარმონიასა და კლუბებში გაიმართა კონცერტები, რომელთა პროგრამა მეტწილად საიათ-ნოვას ნაწარმოებებიდან იყო შედგენილი. კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს საიათ-ნოვას სიმღერების საუკეთესო შემსრულებელმა მომღერლებმა — სახალხო არტისტმა მარტალიანმა, არმ. ტერ-აბრამიანმა და სხვებმა. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიამ საიათ-ნოვას მიუძღვნა საგანგებო სესია. საიათ-ნოვას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიკოსები და მეცნიერ-მუშაკები.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა, როგორც საიათ-ნოვას სომხური ლექსების, ისე სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ლექსების სრული კრებული. საიათ-ნოვას ლექსების თარგმანი ქართულ და აზერბაიჯანულ ენებიდან სომხურ ენაზე ეკუთვნის მეცნიერ-მუშაკს მორუსს.

ერევნის, ლენინაკანის და სხვა ქალაქების გაზეთები ფართოდ აშუქებენ საიათ-ნოვას შემოქმედებას. გამოვიდა სომხური ლიტერატურული გაზეთისა და ჟურნალ „სოვეტაკან გრაკანუთიუნის“ სპეციალური ნომრები საიათ-ნოვას 150 წლისთვის იუბილესადმი მიძღვნილი.

# რუსული კლასიკური დრამატურგიის სპექტაკლების დათვალიერება

1 დეკემბერს საქართველოს თეატრებში იწყება რუსული კლასიკური დრამატურგიის სპექტაკლების დათვალიერება. დათვალიერებასთან ერთად ჩატარდება საქართველოს რუსული მუდმივი დრამატიული თეატრის არსებობის ასი წლისთავის დღესასწაული.

30 ნოემბერს გრიბოედოვის სახ. თეატრში შედგება საზეიმო სხდომა, მიძღვნილი საქართველოში რუსული დრამატიული თეატრის დაარსების 100 წლისთავისადმი.

დათვალიერების დროს ნაჩვენები იქნება: რუსთაველის სახ. თეატრში—ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენი“ და „ზოგჯერ ბრძენიც შესცდება“, მარჯანიშვილის სახ. თეატრში — ა. ოსტროვსკის „უმზითვო“ და მ. ლერმონტოვის „მასკარადი“; გრიბოედოვის სახ. თეატრში — ა. ოსტროვსკის „ტყე“ და ლ. ტოლსტოის „განათლების ნაყოფი“; მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში — ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“; მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში — ა. ოსტროვსკის „სიღარიბე დასაძრახი არ არის“; გორის თეატრში — ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენი“; ქუთაისის თეატრში—სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწინება“; ბათუმის თეატრში — ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“; ფოთის თეატრში — ა. ოსტროვსკის „რისხვა“; აფხაზეთის თეატრებში — ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენი“ (აფხაზური დრამა), მ. გორკის „მდაბიონი“ (ქართული დრამა) და მ. გორკის „ზიკოვები“ (რუსული დრამა).

თეატრებში დათვალიერებასთან დაკავშირებით მოეწყობა სპეციალური გამოფენები.

24-25 დეკემბერს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში შესდგება შემოქმედებითი კონფერენცია, მიძღვნილი დათვალიერების შედეგებისადმი.

დათვალიერების მოსამზადებლად და ჩასატარებლად ხელოვნების საქმეთა სამმართველომ შექმნა კომისია ამხ. რ. შადურის თავმჯდომარეობით.

## ნ. ბარათაშვილის ლექსები სომხურ ენაზე

პოეტმა სურენ ავჩიანმა სომხურ ენაზე სთარგმნა და ცალკე კრებულად დასაბეჭდათ დაამზადა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგი ლექსები: „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ხმა იდუმალი“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „ჩონგურს“, „ჩემს ვარსკვლავს“, „თავადის ჭავჭავაძის ასულს ეკატერინეს“, „ჩვილი“, „სული ობოლი“, „სატრფოვ მახსოვს“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემთ მეგობართ“, „ვჰპოვე ტაძარი“, „მერანი“, „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზე“, „სულო ბოროტო“, „მადლი შენს გამჩენს“ და პოემა „ბედი ქართლისა“.

კრებულს დართული ექნება წინასიტყვაობა, კომენტარიები და ბიბლიოგრაფია.

## საგუნდო კურსები

საოპერო თეატრის გუნდის გაძლიერების მიზნით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან მიმდინარე სასწავლო წლიდან ჩამოყალიბდა წელიწადნახევრიანი საგუნდო კურსები, რომელიც მოამზადებს საოპერო თეატრის გუნდის არტისტებს. საგუნდო კურსებს უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს გიორგი ხახანაშვილი. მსურველთა კურსებზე მიღება უკვე დაიწყო.



ი. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულის“ ილუსტრაცია. ნახ. მხატ. ს. მაისაშვილისა. წიგნს სცემს საბლიტგამი.

# დიმიტრი ერისთავი

(1862—1924)

ალექსანდრე წულუკიძის ნაწერების გამოსვლამ (რუსულად და ქართულად) გამახსენა ერთი დავიწყებული მწერალი — დიმიტრი ერისთავი, რომლის ბიოგრაფია ნაკლებად არის ცნობილი.

დიმიტრი ერისთავი ეკუთვნოდა 90-იანი წლების იმ ქართველ მწერლებს, რომელთა მონაწილეობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათ



საზოგადოებრივ, პრაქტიკულ მოღვაწეობასთან. დიმ. ერისთავს, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ასულდგმულებდა ერთი ძირითადი იდეა: მშობლიური მწერლობის აყვავება და მშრომელთა კეთილდღეობა.

დიმიტრი ერისთავი (შინაურობაში „ტიტიკო“) დაიბადა სოფ. გორა-ბერეჟოულში (გურია) 1862 წელს. მისი მამა კონსტანტინე ვახტანგის-ძე იყო მომრიგებელი შუამავალი, ხოლო მწერლის პაპა ვახტანგ ერისთავი — ცნობილი დიპლომატი იმერეთის მეფის სოლომონის კარზე. დიმ. ერისთავის დედა (ივლიტა ნაკაშიძე) იშვიათი სილამაზის ქალი იყო — აღზრდილი ძველ ქართულ წიგნებზე.

დიმ. ერისთავმა საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში, შემდეგ დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. იგი მაშინვე გაემგზავრა თავის საყვარელ გურიაში და სიკვდილამდე არ მოშორებია მას. დიმ. ერისთავი, როგორც ექიმი, დიდი სიყვარულით სარგებლობდა გურიის მშრომელ მოსახლეობაში.

გურულ ბელეტრისტებს შორის (ეგ. ნინოშვილი, ლალიონი, ჭოლა ლომთათიძე, ნინო ნაკაშიძე, იასონ ნიკოლაიშვილი) დიმ. ერისთავი გამოირჩევა ახალი პერსონაჟების გამოყვანით. იგი თითქმის ყოველ მოთხრობაში მწვავედ აშუქებს სოციალური უკუღმართობის ამბებს. მოთხრობა „უბრალო ამბავში“ სასტიკად არის გაკრიტიკებული იმდროინდელ გიმნაზიებში გამეფებული „კლასიკური განათლების“ ნაკლოვანებანი; „ორ სურათში“ აგვიწერს ქართველ სტუდენტების ყოფა-ცხოვრებას რუსეთის ერთერთ ქალაქში. ქართველ სტუდენტის ბინაზე მოწვეულია კრება ფრიად მნიშვნელოვან საჭირბოროტო საკითხებზე: „როგორ გამოვიყენოთ ჩვენი ცოდნა ხალხისათვის“... კარგად დაწყებული სერიოზული საქმე ლანძღვა-გინებით და ჩხუბით თავდება, მხოლოდ ღვინო და სადღეგრძელოები შეარიგებენ მოჩხუბართ.

მოთხრობა „ვისი ბრალია“, რომელიც, ახვათა შორის, გაარჩია დიდი სტალინის თანამებრძოლმა, სახელოვანმა ბოლშევიკმა ალ. წულუკიძემ, (იხ. მისი „თხზულებანი“, გვ. 11, 14, 21, 72) რეალისტურად გვისურათებს ქართველი აზნაურობის ეკონომიურ გალატაკებასა და ზნეობრივ დაცემას. ძალღონით აღსავსე, მაგრამ ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი აზნაურები (ნესტორ უჩქიაშვილი და სხვ.) უმიზნოდ დაფართფაშებენ. ავტორის მოქეიფე აზნაურების, გაიძვერა სოფლის მწერლისა და მევახშე მედუქნის პარალელურად გამოჰყავს გამრჯელი გლეხის დათიკა გორდელაძის ოჯახი. დიმ. ერისთავი დიდის სიყვარულით აგვიწერს ამ გულფიცხს, ბრგე ვაჟკაცს და მის პატიოსან მშრომელ მეუღლეს; დათიკას მიერ მისი დამღუპველის მოკვლა, ავტორს აწერილი აქვს დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით.

მოთხრობა „ვისი ბრალია“? (და არა „ვინ არის დამნაშავე“?) პირველად დაიბეჭდა 1895 წლის „მოამბეში“ (ცალკე წიგნად გამოვიდა 1911 წ.). დიმ. ერისთავს „ვისი ბრალიას“ გარდა დაბეჭდილი აქვს შემდეგი წიგნები: „ნაკვთები“ (მოთხრობათა კრებული, ქუთაისი, 1891 წ.), „ნაწყვეტი დაუსრულებელი რომანისა“ (1912 წ.). მისი მოთხრობები იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ (1895, 1896 წ. წ.), მას დაწერილი აქვს აგრეთვე პოპულარული ნაშრომი „ხოლერა და მისი თავიდან ასაცდენი დარიგებანი“ (1893 წ.).

დიმ. ერისთავი ახალგაზრდობაში სწერდა ლექსებს (სთარგმნა ლერმონტოვის „მწირი“), და დრამებს. ყველა ეს ხელთნაწერი დაკარგულა 1917 წ. ოზურგეთში თურქების შემოსევის დროს.

დიმ. ერისთავის ნაწერების სრული კრებული, ავტორის საკუთარი ხელით გადაწერილი, 1937 წელს სახელგამს ჰქონდა გამოსაცემად.

1924 წ. ქ. ოზურგეთში არჩეულ იქმნა საიუბილეო კომიტეტი, რომელსაც უნდა მოეწყო დ. ერისთავის 40 წლის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის იუბილე, მაგრამ, მწერალს სიკვდილმა რამდენიმე დღით ადრე მოუსწრო... იგი გარდაიცვალა 1924 წელს 17 დეკემბერს. დასაფლავებულია ოზურგეთის საავადმყოფოს ეზოში.

ასეთია ამ დავიწყებული მწერლის ცხოვრების გზა, რომელიც 40 წლის განმავლობაში თავის ნაწერებით თუ პრაქტიკული მოღვაწეობით უანგაროდ ემსახურებოდა თავის საყვარელ სამშობლოს. იგი უშიშრად და მოურიდებლად ებრძოდა ძველ წესწყობილებას. მას ჩვენი ქვეყნის განთიადის ხილვა საფლავში ჩარდად არ ჩაჰყოლია. იგი მოესწრო სამშობლოს თავისუფლებას.

**ი. გრიშაშვილი**

**მინაწერი:** დიმ. ერისთავის სურათი, რომელიც ამ სტატიას თან ერთვის, დახატულია მისი ერთადერთი ვაჟის, სამედიცინო ინსტიტუტის ლექტორის ვახტანგ ერისთავის მიერ.

**ი. გ.**

## რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში

რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი თავისი არსებობის მეექვსე წელში გადავიდა. ამ ხნის განმავლობაში ინსტიტუტი დაამთავრა 145 მოსწავლემ; კურსდამთავრებულთა დიდი უმრავლესობა მიღებული იქნა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახ. თეატრებში, დანარჩენები სამუშაოდ წავიდნენ პერიფერიებში—ქუთაისში, ბათომში, სოხუმში და სხვ.

ინსტიტუტი შესდგება სამი ფაკულტეტისაგან, რომელთაგან პირველი, სამსახიობო ფაკულტეტი გაიხსნა 1939 წელს, ხოლო მეორე —სარეჟისორო—1940 წელს, მესამე კი—თეატრისმცოდნეობისა—1944 წელს. ინსტიტუტი უზრუნველყოფილია ბინითა და დარბაზით, სადაც სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო წარმოდგენები იდგმება.

მიმდინარე სასწავლო წლიდან ინსტიტუტმა მოიპოვა უფლება მიიღოს შრომები საკანდიდატო ხარისხის მოსაპოვებლად—საჯარო დაცვისათვის თეატრალურ დისციპლინათა განხრით.

სამეცნიერო მუშაობის განხრით ინსტიტუტს მზადა აქვს რამდენიმე შრომა: „სასცენო ხელოვნება“ პროფ. აკაკი ფალავასი, „სასცენო მეტყველება“—დოც. მალიკო მრევლიშვილისა, „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“ დოც. დიმ. ჯანელიძისა და სხვა.

ინსტიტუტმა დიდი მუშაობა ჩაატარა სასწავლო წლის მომზადებისათვის და 17 სექტემბრიდან დაიწყო ნორმალური მეცადინეობა.

## თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში

1944-45 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სხვადასხვა სპეციალობის კურსი დაამთავრა ოცდაექვსმა ახალგაზრდამ. საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ისინი სამუშაოდ გაგზავნა საოპერო თეატრსა და ფილარმონიაში (მსახიობებად) და მუსიკალური სასწავლებლებში (პედაგოგებად). კურსდამთავრებულებს შორის 4 ვოკალისტია, 11 პიანისტი, 3 მუსიკის თეორეტიკოსი და სხვ.

წელს სახელმწიფო კონსერვატორიის ყველა სპეციალურ დარგზე მიღებულ იქნა 45 მსმენელი. მთხოვნელთა სიმრავლის გამო მიღება ჩატარდა საკონკურსო გამოცდებით. ვოკალურ ფაკულტეტზე მიღებულ იქნა 12 მსმენელი, საფორტეპიანოზე—13 მსმენელი, თეორიულსა და ისტორიულზე ორ-ორი მსმენელი და ა. შ. ყველა ფაკულტეტზე სწავლა დაიწყო 17 სექტემბრიდან.

## საოპერო სტუდია

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან იხსნება საოპერო სტუდია, რომელიც მუშაობას დაიწყებს პირველ იანვრიდან. ეს იქნება საწარმოო სასწავლო ბაზა, სადაც კონსერვატორიის მე-4 და მე-5 კურსის სტუდენტი-ვოკალისტები და აგრეთვე კურსდამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდები შეიძენენ საოპერო ხელოვნების სასცენო ჩვევებს. საოპერო სტუდიაში დაიდგმება მთლიანი ოპერები ორკესტრის მონაწილეობით: რეპერტუარისა და სასწავლო გეგმის შემუშავება მთავრდება.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი.
გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა, № 13. ტელეფონი 3-47-10. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 03011